

ლიტერატურული გაზეთი

№60 14 - 27 ოქტომბერი 2011

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

ვახტანგ ჯავახიძე

მხოლოდ ერთხელ მოდისო!

რაც ძველებმა იზარალებს
და რაც არ დაიზარეს, –
მე რო მინდა,

ის არ არის,
შენ რო გინდა,

ის არის.
ყურს მიიპყრობს მისი ქება,
ყურად იღებს ნიჟარა:

შენ რო გინდა,
ის იქნება,

მე რო მინდა,

ის არა.

ვინვევ ლურის შენობიდან
მონა ლიზა – ლიზიკოს:

მე რომ მინდა,

შენ რო გინდა,

ჩვენ რო გვინდა, –

ის იყოს!

აგე, ყველა სიონიდან
თავს გვანონებს დიანა –
თავის რუბენსიანა და
თავის რემბრანტიანა.

მოუხმობენ არენდართა
და მემატანეთა
დასებს – ანტუანეტა და
ანტიანტუანეტა.

და მე მინდა,

მოდასეთა

დარბაზს მოვუბოდიშო:

მხოლოდ ერთხელ მოდისო და
მხოლოდ ერთხელ მოდისო!

IV-V

გურამ დოჩანაშვილი

კაცი, სახელად ნოე

თავი X

ატლანტიდა და ქვემო, სამხრეთ-შუამდინარეთი —
ერედუ, ურუქი, ელამი, ბაბილონი, და სხვა

აქამდე ალბათ ზრდილობისთვის (თუ, ზრდილობისაგან...) არ მანყვეტინებდით, მაგრამ არ შეიძლება არ გაგკვირებოდით თუ როგორ და რითი იკვებებოდნენ ისე, ასე ვთქვათ უზრუნველყოფად კეთილი შრომისადმი გამცონარებული, ატლანტიდელები.

საქმე იმაში გახლდათ-იყო რომ, უკვე VII ათასწლეულში (ძველ-ს აღარ ვამბობ; აბა „ჩვენსა-ახლსა“ ათასწლეულებში ჯერ აბა სად გვაქვს VII, — ხომ?) დიდად იყო გავრცელებული ალებ-მიცემობა, ერთმანეთში მხოლოდ კი არ ომობდნენ, სავაჭრო საქონელს ან ჰყიდდნენ ანდაც უცვლიდნენ მეზობელი მხარეები ერთმეორეს, ხოლო შუმერებს ხე განსაკუთრებით ძალიან უჭირდათ, ნაყოფიანი ხეხილის გარდა ერთ ღონიერ ბუჩქსაც კი ვერ იპოვიდით მთელ შუმერეთში და ბაბილონშიაც, ჭირდა,

VI-VII

ბავშვობაში პირველ თებერვალს გაზაფხულის დადგომის მაუწყებლად მივიჩნევი და ეს იმ ხალხური ლექსის დამსახურება გახლდათ, რომელიც „დედა ენაში“ წავიკითხე პირველად. ჩემთვის წიგნში დაბეჭდილ სიტყვას გაცილებით მეტი დამაჯერებლობა ჰქონდა, ვიდრე რეალობას; გარეთ ციოდა, ცა გადანაცრისფერებული იყო, თოვლ-ჭყაპს დაეფარა ეზოები და ქუჩები და მიუხედავად ამისა, მაინც არ ვიბუზებოდი, რადგან რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, მამხნევებდა და მათობდა სტრიქონები: „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა-ჩიორამაო საძირკველი გადგაო.“ მზე ერთხელაც არ იყო ნახსენები, მაგრამ მაინც მათობდა.

ალდგომას სამების საკათედრო ტაძარში შევხვდი. ციოდა, ძლიერი ქარი უბრადავდა და სანთლები წამდაუნუმ ვიქტრებოდა. გარეთ ვიდექით, რადგან ეკლესიაში შეღწევა შეუძლებელი იყო მოზღვავებული ხალხის გამო. შინ ნაშუაღამევს, ორის ნახევრისთვის დავბრუნდით. კვირას, სააღდგომო სუფრაზე ოჯახის წევრები შევიკრიბეთ. გიორგიმ მწვადი შეწვა ბუხარში და ძალიან გემრიელი გამოუვიდა. ყველაფერი გემრიელი იყო — კვერცხი, პასკა, სულგუნი, ლორი, ხაჭაპური და რაც მთავარია, ღვინო, წითელი, მოტკბო „ალაზნის ველი“, რომელიც სიამოვნებით მიირთვეს ქალებმაც. ლუდიც გვქონდა, ბელგიური „Stella artois“. ორშაბათს სასაფლაოები ჩამოვიარეთ, ჯერ კუკიაზე ავედით, კუკიიდან ვაშლიჯვარში გადავინაცვლეთ, სულ ბოლოს კი პეტრე-პავლეზე ვიყავით. მივიტანეთ ყვავილები, დავანთეთ სანთლები და გადავაგორეთ წითელი კვერცხები. წინა წლებიდან განსხვავებით არ წვიმდა, მზიანი დღე იყო, თუმცა ქარი ქროდა. საღამოს გიორგის მეგობრები გვესტუმრნენ და მათაც კარგად მოილხინეს. მოვახერხე და თვალი ჩავკარი შაბათს „წიგნის სახლში“ წავიკითხე უიტიტის ინტერვიუების კრებულს. არ გამკვირვებია მის მიერ საყვარელ მწერლებად ჩარლზ ბუკოვსკის, იუჯინ ო'ნილის, ჯექ კერუაკის და ჰარპერ ლის დასახელება. გამიკვირდა საყვარელი მუსიკოსების სიაში რეი ჩარლზისა და ფრენკ სინატრას ნახვა. ტომ უიტიტი ჩემმა უმცროსმა მეგობარმა აღმომაჩენინა წლების წინ და ერთი პერიოდი მისი სიმღერების გარდა არაფრის მოსმენა არ მინდოდა. მაგიდაზე, სადაც ჩემი ბებერი „Hitachi“ მიდგას, დღესაც დევს კასეტა სახელად — „BIG TIME“.

ყოფილი კატორღელი, რუსული „ლაგერების“ უბადლო მცოდნე ვარლამ შალაშვილი წერილად აღწერს, როგორ ჰყვებოდნენ გულისამაჩუყებელ, ძალადობითა და სისასტიკით გაჯერებულ თავგადასავლებს პატიმრები, რათა ერთი ჯამი ბალანდა, შავი პურის ნატეხი და „შავების“ კეთილგანწყობა მოეპოვებინათ. ამ საქმიანობას უარგონზე „რომანის მოზელვა“ ერქვა და გრძელზე გრძელი ისტორიები, რომლებსაც ხშირად ბულგარული და იმეათად კლასიკური ტექსტები ედო საფუძვლად, პირველწყაროების ცუდი ანარეკლები, უმდარესი ხარისხის ორეულები გახლდათ. „რომანების მოზელვა“ ყველაზე უკეთ ყოფილ ლიტერატორებს გამოსდიოდათ, რაც „ლაგერში“ თავის გატანის, სასჯელის დარჩენილი ვადის მშვიდობიანად გასრულების ერთ-ერთი, არცთუ უმნიშვნელო გარანტია იყო. ერთი წამით წარმოვიდგინოთ, რომ „რომანების მოზელვა“ რომელიმე ლიტერატორი, მას შემდეგ რაც თავისუფლება მოიპოვა, უბრუნდება თავის ძირითად საქმიანობას — წერას და იწყებს



მოიწინა, შენც ჩემსავით თვითონ, შუამავლის გარეშე ეხები იმას, რაც გაინტერესებსო. ამ სიტყვების მოსმენით უსაზღვროდ გახარებულმა, ვუთხარი, თხრობას თქვენგან, რეზონანსილიზმისგან და ოთარ იოსელიანისგან ვსწავლობდი და დღესაც ვსწავლობ-მეთქი. პრემიების მოყვარული მწერლებისგან განსხვავებით, უკლებლივ ყველა ლიტერატურულ ჯილდოს იმ მხატვრის შეფასება მირჩევნია, რომელმაც სულ

ნავდა. ალაფი წამოღებული იყო გერმანიიდან, რომლის დიდი ნაწილი მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა ჯარებმა დაიპყრეს. ფილმები დუბლირებული არ იყო და რომ გაგვეგო, რას ლაპარაკობდნენ გმირები, ტიტრები უნდა გეკითხა რუსულად. ჩავჯდებოდი ათნომერ ტრამვაში და ნახევარსაათიანი ხრიგინისა და ჯაყყაყის შემდეგ ჩამოვიდოდი დიდუბის ბოლოს, რადიოქარხანასთან, რომლის გვერდით, წერეთლის გამზირიდან ჩამავალ ქუჩაზე, მდებარეობდა კინოთეატრი „კოსმოსი“. როგორც წესი, მივიდოდი სენანის დაწყებამდე ორი საათით ადრე და ვდგებოდი რიგში. სალაროს გაღებას შვიდი-რვა და თუნდაც თორმეტი კაცი თუ ელოდებოდა, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ეს იმას ნიშნავდა რომ ბილეთები მეც შემხვდებოდა და შინ ხელცარიელი და ყურებ-ჩამოყრილი არ დავბრუნდებოდი. სალაროების წინ მუდამ ტრიალებდა ერთი მაღალი, ზორბა, გვარიანად თმა-წვერმომვებული კაცი; ამ კაცზე ამბობდნენ თბილისში ჩამოსული ხრუშჩოვის (საბჭოთა

ზაალ სამადაშვილი

კალამს მიღვევებით დაწერილები

თხზვას იმ სტილით, რომელსაც მისთვის წარმატება მოჰქონდა ქურდულ სამყაროში. თუკი მისი მიზანი უბრთა შორის პოპულარობის მოხვეჭაა, მაშინ არა უშავს, მაგრამ თუ ის კლასიკოსობაზე აცხადებს პრეტენზიას და სურს მოექცნენ, როგორც სერიოზულ ავტორს, ამ შემთხვევაში მარცხისათვის არის განწირული. მეორე ვარიანტიც შეგვიძლია განვიხილოთ — როცა გათავისუფლებული ლიტერატორი ვერაფრით ვერ ელევას მსმენელთა დაკარგვას და იმის მაგივრად, რომ გადაეწყოს ცხოვრების ახალ, ბუნებრივ წესზე, უბრაზდება ლამის მთელ სამყაროს, მიიჩნევს, რომ მისი შესაძლებლობები ჯეროვნად არ ფასდება!

დამირეკა დიმა ერისთავმა და მითხრა, შენი წიგნი წავიკითხე და სამყაროს საკუთარი, ინდივიდუალური ხედვა რომ გაქვს, ამკარად დავინახეო; არ მიყვარს, როცა მწერლები უკვე შესწავლილ და გადაღეჭილ თემებს კიდევ ერთხელ გიღეჭავენ და საგნებთან, მოვლენებთან პირდაპირ ურთიერთობას რომ უფრთხიანო; ტიტულზე რაც წამინერე, მართალი აღ-

ცოტა ხნის წინ ტელეჟურნალისტს უთხრა — ღრუბელს ვერ ვხატავ, არ გამომდის და როცა დასახატი მაქვს, სანდროს ვთხოვ, ჩემს შვილს, რომ დამეხმაროსო.

ჩვენი ოჯახს, ნინოშვილის ქუჩაზე, ოროთახიან ბინაში, კედლის ლუმენი ჰქონდა. ერთხელაც გაიჭედა ეს ლუმენი, ლუმენი კი არა, საკვამური, საიდანაც ბოლი გადიოდა გარეთ. ისე გაიჭედა, ისე ჩაიკირა მჭვარტლით, რომ ველარ გაინმინდა და დავრჩით ლუმენის გარეშე. კიდევ კარგი, ზამთარი თითქმის გასული იყო, თორემ ერთი კვირა კი არა, გაცილებით მეტი ხანი მოგვინევდა შინ ქუდებითა და პალტოებით ყოფნა. მოშობლებმა გაზაფხულიდანვე დაიჭირეს თადარიგი, ოსტატი დაიბევეს, ფასზე შეუთანხმდნენ და ფულის შეგროვება დაიწყეს. კაფელის ლუმენები ითვლებოდა მაშინ საუკეთესოდ, თუნუქის „ფეჩები“ მხოლოდ ლარიბებს ედგათ. შეძლებულები არც ჩვენ ვიყავით, მაგრამ სხვა ხელმოკლეთაგან განსხვავებით, მთელი ძალ-ღონით ვებრძოდით, არ ვუბუბოდით სიღარიბეს. მამაჩემი ჩვეულებრივ სკოლაშიც მუშაობდა ფიზკულტურის მასწავლებლად და სპორტულ სკოლაშიც — მწვრთნელად. ზაფხულობითაც საქმდებოდა, ე.წ. „პიონერთა ბანაკებში“ მიდიოდა შვეტულეების დროს და ბავშვებს დაატარებდა ლაშქრობებში. მე და დედაც თან ვახლდით ხოლმე, ბინას ვკვირობდით ბანაკთან ახლოს და კვებითაც ბანაკის სასადილოში ვიკვებებოდით. იქაურმა სასადილომ შემაყვარა კაკაო, კისელი და გალექი — ოთხკუთხა, ფხვიერი ნამცხვარი, რომელსაც ჩაიში თუ ჩაანობდი, პირში დაგიდნებოდა. ფაფები და სუპები არც ბანაკის სასადილოში მიყვარდა და არც შინ, ნინოშვილის ცამეტში. მამაჩემის შრომა რა გასაკვირი იყო, როცა პაპაჩემი გიგო, ოთხმოც წელს მიტანებული ბერიკაცი, ძველებურად იღებდა შეკვეთებს და ჩვეული ოსტატობით ამზადებდა სკამებს, კარადებს და ფანჯრის ჩარჩოებს. სხვათაშორის, ძალიან საინტერესო გახლავთ ერთი რამ — არასოდეს არ მახსოვს მამაჩემს ან პაპაჩემს ვინმე განეკითხოს სიზარმაცის და უსაქმურობის გამო; ერთიც და მეორეც მუდამ ეხმარებოდნენ გაჭირვებულებს და არ ეკითხებოდნენ მათ, რა იყო გაჭირვების მიზეზი. უცნაური გადასვლა გამომდის, მაგრამ არ მინდა დამავინყდეს მაისტერ ეკპარტის განმარტება, რას ნიშნავს „სულიერი სიღატაკე“, რომელიც სახარების ტექსტში არის მოხსენიებული. გერმანელი მისტიკოსის აზრით, — „ღატაკია ის, ვისაც არაფერი არ უნდა, ვინც არაფერი არ იცის და არაფერი არ გააჩნია“.

კავშირის მმართველი იყო) გასამასხრებლად, მამაცმა ახალგაზრდებმა ეგ და პლენანოველი კიკა თავახდელ „პობედაში“ ჩასვეს და ცენტრალურ ქუჩებზე გაატარგამოატარეს, ვითომ საბჭოთა ლიდერი ფიდელ კასტროსთან ერთად ესალმება მოსახლეობასო. სრულიად უთმო (ასეთი გახლდათ ხრუშჩოვიც) კიკასგან განსხვავებით, რომელიც ვორონცოვის მოედანთან, ტყვიავის ქუჩაზე ცხოვრობდა და ხშირად ვხედავდი სიცივეში ტრუსებისამარა მორბენალს, წვერიან კაცს გონებასუსტობისა არაფერი ეტყობოდა. ჭუჭყისგან გაპოხილი პიჯაკითა და მუხლებზე გამოხეული, ბოლოებმემოძენძილი შარვლით, უსახლკარო მანანნალას უფრო ჰგავდა. „კოსმოსი“ რომ დაკეტეს, ამ კაცს ხან რომელ კინოთეატრთან გადავეყრებოდი, ხან რომელთან. საქმე ის გახლდათ, რომ კუბის რევოლუციის ბელადის თბილისელი ორეული კინოს ბილეთების გადაამყიდველი იყო. ოცდაათ-ორმოც კაპიკიან ბილეთებს სულ ცოტა, ორ მანეთად მოგასალებდა, თუკი რიგში დგომით ფეხზე ჩამომწყდარს, სალაროს ღიობს ცხვირწინ მოგიხურავდნენ.

ცნობილი მწერლის შვილიშვილს ჩემი მეგობრისთვის უთქვამს — თუ იცით, რას ვკითხულობო. რასო? რას და ჩარლზ ბუკოვსკის „ჩვეულებრივი სიგიჟის ისტორიებსო“. მეო? დაინტერესებულა ჩემი მეგობარი, შეუტყვია, რომ ბიჭს კიდევ რაღაცის თქმა სურდა. პაპაჩემს რომ დაანახა, როგორ რამეებს ვკითხულობ, საიქიოდან გამიწყებო. მთლად არ ცდება ბიჭი, პაპამისთვის მოხრობების წერა თავშესაფრის შენებას ნიშნავდა, სახლისა, სადაც დაღლილი და აფორიაქებული ადამიანი სულს მოითქვამდა, სიმშვიდესა და მყუდროებას მოიპოვებდა. ბუკოვსკი კიდევ პირიქით არის, დარდიან, ტანჯულ კაცს რომ გადაეყაროს სადმე, რომელიც თვალბში შეაცქერდება იმ იმედით, რომ



კვირადღეობით ხდებოდა ეს ამბავი. მომცემდა დედა ფულს და გამიშვებდა კინოს ბილეთების ასაღებად. სენანები იწყებოდა თორმეტზე, ოთხზე და რვაზე. თითო სენანზე ორი ფილმი გადიოდა, ორივე ძველი, ამერიკული, ე.წ. „ტრაფინი“, რაც რუსულიდან ქართულად ნაალაფარს ნიშ-

ნუგეზის სიტყვები მოისმინოს მისგან — უარესად დაზაფრავს, დარდს გაუათმაგებს. იმიტომ კი არა, რომ სასტიკია და გულქვა, მისი აზრით სიმწარე სიმწარითვე ინკუბირება და ჭრილობის მალამო — მარილია.

ლიტერატურული ჟურნალის გარეკანზე კარლოს ფუნტესის ფოტოა დაბეჭდილი. ფოტო მისი მოთხრობის — „თოჯინა დედოფლის“ მიხედვით გადაღებულ ფილმს მასხვებს. ფილმი გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ვნახე ე.წ. „პლენარის კლუბის“ კინოდარბაზში, სადაც მექსიკური კინოს კვირეული მიმდინარეობდა. ფილმმა პირველი კადრებიდანვე „ამიყვანა“ და იმ მომენტში, როცა მთავარი გმირი ბოლოს და ბოლოს შეაღწევს იქ, სადაც დაკარგული, დიდი ხნის უნახავი შეყვარებული ეგულება და ულამაზესი ქალის ნაცვლად ხეიბრის სავარძელს მიჯაჭვული, ფერუმარილით გათხუპული, ხრინინანი ხმით მოლაპარაკე არსება შერჩება ხელთ, არათუ შეგვრთი შიშისგან, არამედ უფრო მეტი — თავზარი დამეცა. მეხსიერება თუ არ მალაგობს, შემინდნენ ჩემი მამიდაშვილებიც — დათო და სოსო, რომლებიც გვერდით მესხდნენ კინოთეატრის ქანდარზე. ბიჭები ახალი გადმოსახლებულები იყვნენ სოფლიდან და „პლენარის კლუბთან“ ახლოს, ოქტომბრის ქუჩის გადაღმა, ნოვოროსიისკისა და თოფურდიის ქუჩების გადაკვეთაზე ცხოვრობდნენ, პაპისეული, ერთი პატარა ოთახისა და შუშაბანდისგან შემდგარ, მიწისპირა ბინაში. დათო სკოლაში დადიოდა, სოსო კი უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად ემზადებოდა და თან კრივიც ვარჯიშობდა. კვირაში ერთხელ სოფლიდან ჩამოდის და მამიდაჩემი კლარა და შვილებისთვის საჭმელი და ცოტადენი ფული ჩამოჰქონდა. მაშინდელი ნითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვებიდან მატარებელს მოჰყვებოდა. რაკი ხშირად უნევედა მგზავრობა, სახეზე ყველა გამცილებელი ცნობდა და ყველამ იცოდა, რომ ბევრი ლაპარაკი უყვარდა. გასაბჭოებამდე, ანუ რუსულ ოკუპაციამდე გამარჯვებას უზუნდარა რქმევია და მოხუცები ძველი სახელით მოიხსენიებდნენ სოფელს, სადაც ნითელწყაროდან მოვალე მატარებელი კი ჩერდებოდა, მაგრამ ტრიალ მინდორზე, რადგან ბაქანი არ არსებობდა. სამგზავრო ბილეთი კაჭრეთში უნდა გეყიდა, სადაც ორ თუ სამ ვაგონიანი შემადგენლობა ნახევარი საათი ელოდებოდა თელავიდან მომავალ მატარებელს. ნახევარი საათი — უფრო ხშირად კი — მეტიც, სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ მატარებლიდან მუხლის გასაშლელად გადმოსულ კაცებს სადგურთან ახლოს მოვაჭრე დედაკაცებთან ორისამი ქიჭა ქაჭა გადაეკრათ, ხოლო მათ თანმხლებ ქალებს — დედას პურები და ჩურჩხლები ეყიდათ ქალაქში ჩასატანად...

P.S. თავისუფალი, გნებავთ ასოციაციური თხრობის შედეგი და ხიბლი — იწყებ მექსიკელი მწერლის და ამთავრებ კაჭრეთის ბაზრობით.

მას შემდეგ, რაც ჩემი შვილიშვილი მოველინა ამ ქვეყანას, შინ როცა ვარ, სანერად კი არა, სანერ მაგიდასთან დასაჯდომადაც ველარ ვიცილი. ეს ამბავი დიდად არ მალელებს, რადგან მასთან ყოფნა ყველაფერს მირჩევნია. ამას წინათაც დიდხანს მეჭირა ხელში, დედატარებელი ოთახოთახ და ათას რამეს ვებუტუტებოდი. ვუყვებოდი მისი სათამაშო ჟირაფის ამბავს, რომელმაც მთელ აფრიკას შეატყობინა, როგორ დატოვა საჭმელი სალომემ და როგორ შეიცხადეს ეს ამბავი პატარა ჟირაფებმა, ზებრებმა, ანტილოპებმა და ვეფხვებმა. ერთადერთი, ვინც არ გაიკვირვებს სალომეს საქციელი, აღმოჩნდნენ მაიმუნები — სხმარტალა, ონავარი მაკაკები, რომლებიც მხოლოდ მაშინ შეექცევიან ბანანებს და ქოქოსის კაკლებს, როცა მოეპრიანებათ, აინფორმირებენ დღის რეჟიმს, რომელიც მშობლებმა, მათსავე დიდთვალა და მრგვალყურებიანმა მაკაკებმა დაუდგინეს. თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს პატარებთან რომ ვატარებდეთ, დარწმუნებული ვარ, უფრო სულგრძელები და შემწყნარებლები ვიქნებოდით.

ეს ლექსიკონი გაგრძელებაა ჯერ აღმანახ „კრიტიკისა“ და მერე აღმანახ „პოეზია 1981-ში“ დაბეჭდილი მასალისა. აღმანახებში იგი დაიბეჭდა სათაურით: „განწყობილება: გაუმარჯოს რითმას, ანუ ჭკვიანი რითმების ლექსიკონიდან“. მასალის დასასრულს ვწერდი: „როგორც სათაურიდან ჩანს („ჭკვიანი რითმა“), მე არ ვიზიარებ შეხედულებას, თითქო რითმა უსათუოდ და მხოლოდ ქვეცნობიერი, მოუხელთებელი და თავნება ფენომენი იყოს.

„ძირს რითმა!“
„გაუმარჯოს რითმას!“
ხან ერთი გრძობა მაქვს, ხან მეორე. ამიტომაც ვწერ ხან რითმიან, ხანაც ურითმო ლექსებს.

ვთავაზობ რედაქციას წინამდებარე მასალას და, თუმცა მთელი ცხოვრება რედაქციებში ვარ ნამუშევარი, თვითონაც არ ვიცი, რომელი რუბრიკის ქვეშ ჯობს „ჭკვიანი რითმების ლექსიკონის“ დაბეჭდვა — პირადად ჩემთვის სანახევროდ ხუმრობაა იგი, სანახევროდ — სერიოზული თემა, თუ გნებავთ, ერთგვარი პოლემიკური რეპლიკაც კი! ამიტომ, ვფიქრობ, მისი გაშვება

ტარიელ ჭანტურია

ჭკვიანი რითმების ლექსიკონიდან



ბა იუმორშიაც შეიძლება და სერიოზული მასალების გვერდითაც.

„ლექსიკონის“ შედგენისას ერთი, ერთადერთი გამონიშანებული მამოძრავებელი — რითმის ძველმანი!

გამეხარებდა, თუ „ლექსიკონის“ შევსებული გამოცემა გამოდგება იმპულსად, ვინმემ — ნიჭიერმა, გონიერმა და საქმეში ჩახედულმა ადამიანმა — ბოლოს და ბოლოს ყურადღება მიაქციოს ამ თემას, რითმას! დღემდე ამ თემას თუ საკითხს ძირითადად გუშინდელი ხელმოცარული მელექსენი უტრიალებენ. ისინი, როგორც ნესი, წერენ ლექსზე და თითქმის არასოდეს არ წერენ პოეზიაზე. მათ არ იციან მარტივი რამ: ლექსი, ეს არის ჭურჭელი, რომელშიც პოეზია ინახება. ესე ამბავი... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, რომ წერს რუსთაველი, ამით იმას გვეუბნება, რომ მან ლექსის ფორმა მისცა სათქმელს! იქნებ სხვა ფორმა მიეცა იმ თავისი სათქმელისთვის და მაინც ბრწყინვალე ყოფილიყო ის წიგნი! — ვინ დაამტკიცა, რომ უსათუოდ „ჩვენი ჯობს!“ მოკლედ, ასე: **პოეზია** ლექსიანიც კარგია და ულექსოც! გააჩნია, ვის რა მოსწონს, რომელი ფორმა უფროა მისაღები მისთვის, ან სულაც — რომელ ფორმას უკეთ ფლობს, სად უფრო გამოჩნდება მისი ხელოვნება! იქნებ აღარც იყოს საჭირო ლექსი, როგორც პოეზიის სამოსელი, მისი „ჭურჭელი“, იქნებ ლექსის გარეშე იოლად გავიდეს, როგორც იყო ეს ათასწლეულების მანძილზე! ეს არაა ახლა ჩემი გასარკვევი და გასარჩევი! მე იმის თქმა მინდა მხოლოდ, რომ თუ მაინცა და მაინც ლექსის ჭურჭელში გვიინახავთ პოეზია, მაშინ ეს ჭურჭელი უნდა იყოს სრულყოფილი, ლამაზი, გამძლე, მიმზიდველი, საამოდ საცქერალი! ხოლო თუ ამ გზას ავირჩევთ — თუ ლექსს გამოვიყენებთ **პოეზიის** შესახებ, მაშინ ჭურჭელზე ფიქრისას, გამოირკვევა, რომ რითმა არაფრისი, მით უმეტეს გუშინდელ უნიჭო მელექსეთა საქირქილო არაა, და უმაღლესი პოეტური ჰარმონიის მიღწევის გზაზე იგი ერთი უმთავრესი კომპონენტია აი, იმ ჭურჭლის, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ!

„ჭკვიანი რითმების ლექსიკონის“ — ამ სალალობო „ლექსიკონის“ გამოქვეყნების მერე, და იქნებ ცრუ ვერლიბორის მისამართით ჩემს მიერ გამოთქმული მეტისმეტად უარყოფითი აზრის გასაბათილებლადაც, ჩემმა ერთმა მარადიულმა ოპონენტმა გა-

მოაქვეყნა, ასე ვთქვათ, **შიშველი რითმები** — სარიტმო წყვილები. ოპონენტის ცდამ, კიდევ ერთხელ ემტკიცებინა, რომ გართმევას დიდი არაფერი უნდა, კენწლანუ ავჭალური გამახსენა.

ერთია, ათასამდე კენწლო დერეფანში, და სხვაა, იგივე გააკეთო ფეხბურთის მოედანზე, როცა ევროპის თასის მფლობელთა თასის პირველობაზე „კარლ ცაისს“ ეთამაშები! — ტექნიკა (ფეხბურთელის, პოეტის და ა.შ.) „კონტექსტში“ უნდა გამოვლინდეს, თორემ, ხელს თუ არავინ და არაფერი გიშლის, გინდ აკენწლავ და გინდ რითმებს დაახვავებ, თანაც რამდენსაც გინდა! პირველს მამინა აქვს აზრი, როცა შნელინგერის, კალტცისა თუ ხურცილავას გარემოცვაში ახერხებ კენწლავს, მეორეს კი მაშინ, როცა რთულ პოეტურ კონტექსტში ახერხებ გართმევას! მოკლედ, ფასი აი, იმასა აქვს — ნამდვილ თამაშსა და ნამდვილ ლექსს! იმ ლექსში და იმ თამაშშია კარგი რითმაცა და ბურთის კენწლავც!

მაგალითად, გინესის წიგნის რეკორდსმენი სიხარულიძე! მოახერხებდა თავით ამდენის აკენწლავს როლანდინო? მეექვსე-

ლექსპროზატი, სადაც ათასი ერთიანაა ბარიტოული

ვახტანგ ჯავახიძე

სამი ლომი: ყოველ მათგანს მოკლული ჰყავს **ათასი!**
სამი ლომი: არამისი, პორტოსი და ათოსი!
მოდაშია, მეც ვეცნობი მითოსსა და ეთოსს!
როგორ სურდა აბესალომს, როგორ სურდა ეთერს, ყოფილიყვნენ ერთხორც ანუ ერთსულ ანუ ერთარს!
მერცხლის ხმა არ მოკლებოდა მათს ლარიბულ ერდოს!
ყოფილიყვნენ მარად ერთად! ერთმანეთის გვერდით, ყოფილიყვნენ ბოლო დღემდე ორნი, როგორც **ერთი!**

(ლექსი ამოღებულია კრებულიდან „ბოლოა“. „მერანი“. 1983).
მოკლედ, როგორც ერთხელ უკვე დავწერე, სწორედ ისეა: ჩემს პასკვილანტებს

ბა! მაგრამ ადგეს ახლა იგივე სიხარულიძე და შეცვალოს როლანდინო ბარსაში ან ბრაზილიის ნაკრებში!

ორმოც წელზე მეტი ხსნისაა ეს თავშესაქცევი „ლექსიკონი“, დაბეჭდვაზე კი, იმ პირველი პუბლიკაციების მერე, არც მიფიქრია. ახლა გადავწყვიტე, ისევე წარვედგინო მკითხველს ეს ღიმილისმომგვრელი „ანგარიში“.

ერთმა გარემომებამ მაფიქრებინა ეს. გარდა ჭკვიანი რითმებისა, არსებობს, როგორც ჩანს, „ბოროტი რითმებიც“. ასეთად მეჩვენება მე პირადად „სარიტმო წყვილი“ — ერთი პასკვილანტური ტანდემი. ორივეს, ცალცალკე და ერთადაც, არაერთი პასკვილი აქვს ჩემზე დაწერილი. რაკი მე იმ პასკვილებს პრინციპულად არ ვკითხულობ, ცხადია, ისინი ჩემი საუბრის თემა ვერ იქნება. ჩემი საუბრის თემაა „ჩვენს მწერლობაში“ დაბეჭდილი წერილი „უბის ნიგინიდან“.

წერილში ჩემთვის საინტერესოა ქვესათაური „მხიარული რითმები“.

მოკლედ, ასე: **ტარიელ ჭანტურიას ჭკვიანი რითმების ლექსიკონის** შემდეგ შეიქმნა **მხიარული რითმების ლექსიკონი!** არა, ლექსიკონი აღარ დაარქვა ავტორმა თავის ნამუშევარს — ასე ნამეტანი დაემგვანებოდა ჩემსას. არც ჩემი სახელი ახსენა — ცრუ პრიორიტეტის დაკარგვის შეეშინდა, ეტყობა. (საერთოდ, როდის იყო, ქურდი საგანგებო განცხადებას აკეთებდა, ესა და ეს ნივთი ამა და ამ კაცის ოჯახიდან მოვიპარეო!), მეტიც, საერთოდ მიაფურჩნა ჩემი არსებობა. ერთ მაგალითს მოვიტან და მკითხველისთვის ყველაფერი ცხადი გახდება.

ავტორი წერს: „ამ პარადოქსებზეა აგებული ვახტანგ ჯავახიძის „მხიარული ექსპერიმენტი — ბელურა — აქლემი“: ოცსტრიქონიანი ლექსის ყოველი ტაეპი გართმულია მომდევნო ტაეპთან, მაგრამ პირველი და ბოლო სარიტმო სიტყვები — **ბელურა და აქლემი** — ერთმანეთის რითმები არ არიან“.

მინდა მკითხველს გავახსენო და, თუ არ ახსოვს, მოვახსენო, რომ ამ ორმოცი წლის წინ დაწერილი მაქვს ლექსი: ლექსპერიმენტი, **„სადაც ათასი ერთიანაა გართმული“**.

ლექსი ვახტანგ ჯავახიძეს ეძღვნება. აი, ისიც:

ჩემთვის არ ემეტებათ ჩემი ლექსები! რა შეიძლება ითქვას ამაზე! არც არაფერი! — რა აზრი აქვს ასეთ ხალხთან კამათს!

მხიარული რითმებისა რა მოგახსენოთ და, **ჭკვიანი რითმების** მორიგ, ასე ვთქვათ, შევსებულ პუბლიკაციას ისევე ვთავაზობ მკითხველს. თქვენი ღიმილი და კეთილი განწყობა, ძვირფასო მკითხველო, არის ჩემი ერთადერთი იარაღი, რომლითაც პასკვილანტებს ვებრძვი, ვგრძნობ — წარმატებითაც!

ხის ძირას რომ იწვევ, **მსხალი** ჩამოვარდეს და ამ ამბავმა დედამინის მიზიდულობის კანონზე დაგაფიქროს, ნიუტონი და მისი **ვაშლი** არ უნდა დაგავიწყდეს და არ უნდა გეგონოს, რომ ეს კანონი შენ აღმოაჩინე! **ჭკვიანი რითმების** მერე, რა თქმა უნდა, **მხიარული რითმების** შეიძლება მოგაფიქრდეს, **კეთილშობილი რითმებიც, გათახსირებული რითმებიც, პასკვილანტი რითმებიც, გეი რითმებიც** გეირითმება სადაცაც, მაგრამ ზრდილობა მოითხოვს, იმ ნიუტონის **ვაშლისა** არ იყოს, **ჭკვიანი რითმების** ლექსიკონი გაგახსენდეს — ის, ვინც და რაც იყო პირველითაგან! თუმცა ალბათ არ შეიძლება, კაცს აუხიროდ, რატომ გაქვს ცუდი მეხსიერებაო, ან შენი ქალიშვილი, რომელსაც რაღაცა რაღაცასთან გაურითმავს, ტარიელ ჭანტურიანზე მეტად რატომ გიყვარსო!

კარგი იქნება, თუ ერთ მშვენიერ დღეს ამ საქმით დაინტერესდებიან არა ხელმოცარული მელექსენი, არამედ ნაღდი პოეტები — იგივე მუხრან მაჭავარიანი, იგივე მურმან ლებანიძე, იგივე ოთარ ჭილაძე, გივი გეგეჭკორი, ვახტანგ ჯავახიძე, გივი ალხაზიშვილი, გიორგი ლობჯანიძე, რატი და რატიანი — ამაღლობელი და ზვიადი... და თუ მთარგმნელებიც მოიცლიან ამ საქმისთვის — იგივე მაგალითოდუა, იგივე ვახუშტი კოტეტიშვილი, იგივე დავით წერეთლიანი... ამ ორ სიას ბევრი ღირსეული პროფესიონალი აკლია, მაგრამ ამ სიას სხვა დროს შევავსებ, ახლა კი იმას ვიტყვი მხოლოდ, რომ, რაკი ჩემს ერთ-ერთ პასკვილანტს „რიფმარად“ მოუხსენებია, გთავაზობთ მაინცა და მაინც რითმების — ამჯერად **ჭკვიანი რითმების** — ლექსიკონის გაგრძელებას!

გაგრძელება მე-15 გვერდზე

ვახტანგ ჯავახიძე

მაგნიტი ვარ: ვიზიდავ!
მაგნატი ვარ: ვიზიდავ!
ჩემი ბრალი არ არის:
ვის აკოცებს ვისი და.
მაგნიტია: მიზიდავს!
მაგნატია: მიზიდავს!
ჩემი საქმე არ არის:
მარჯნებს ვისთან მიზიდავს.
ქვა უყვარდა როდენსაც:
ადიდებდა ლოდებსაც...
მე ის მიყვარს,
როდესაც
ვიზიდავ და
მიზიდავს.

არასდროს არ ამბობს ძე ღვთისა იესო:
— გადადე თავი და თავში ქვა იეცო! —
არამედ:
— ქვა იგი დაადე ქვაზეო
და, რათა უფრორე ამადლდეს საზეო,
განდე ხვაშიადს სახვაშიადოვე,
განირე მკლავი და
ქვა ქვაზე დატოვე.

ახლა ციფრების ჩუმი ჰიპერტონია მიტევს:
ახლა ჯიბეში —
ზუსტად ვიცი —
რამდენი მიდევს.

FINITA LA COMMEDIA!

ჩემი ადგილის დედა —
თეთრი ხიდი და რიო,
მამის საფლავთან — მწვანე
კიპარისების ტრიო:
როგორც კი მანიშნებენ,
დასრულდა თეატრიო,
ამ ძვლების არმატურა
აქ უნდა მოვათრიო.

ეპიტაფია

მეც ნუგეში —
და მეც
შიშის ზარიც დამეც,
მეც პატივიც —
და მეც
თავზე მეხიც დამეც.
მეც თავყვანიც —
და მეც
გულში დანაც დამეც,

შეგვახსენებენ ცოდვებს გვიანდელს
და ვენებს ჩუმად გადაგვიხსნიან.
რა საჭიროა ტყვია იაფი,
ჩვენ არ გავისვრიოთ,
ხელს არ გავისვრიოთ,
განსაზღვრულია რეგალიები
და ყველაფერი ხდება თავისით.
არავის აღარ ვეცაბებოთ,
გვანონანსოვებს ფერთა სინთეზი
და ჩვენი თეთრი ხელთათმანები
სუფთაა,
როგორც ჩვენი სინდისი.

თუ მომატყუეს თვალმა და ყურმა,
კვლავ უნდა ჩავრგო ნიგნებში ცხვირი,
მე კარგად ვიცი,
რა არის ხურმა,
მაშასადამე,
არა ვარ ვირი.

ვერ დავატანე ძალა და
ვერ შევავარე განგსტერებს
ვეფხის და მოყმის ბალადა...
ტალევიზორი აშტერებს!



ანონე სიმძიმე გადაკრულ სიტყვათა
და, როცა უეცრად კვლავ მოვა სეტყვა და
როდესაც ქვასა მას დახვდება ქვა იგი,
თავს ველარ წამოყოფს ზედმეტი პაიკი.
თუ ელვამ წისქვილის წყვიადი დაფლითა,
წყვიადშიც დალანდე დოლაბი დაბლითა.
წყვიადშიც შიციან ნახაზი ნასახთა,
გიყვარდეს,
რომელიც ცივ ქვაზე დასახლდა.

იბრძოლე,
იღვანე,
იმედიატორე,
ანდერძს ნუ დატოვებ,
ქვა ქვაზე დატოვე!

მეფლირტავება ისევ ფორტუნა უშედეგო:
ევრო, დოლარი, ლარი —
ლარი, დოლარი, ევრო.
მათამამებდა ადრე ბალანსი საიმედო,
არც კი ვიცოდი კარგად —
ბანკში რამდენი მედო.

თანაც —
რა თქმა უნდა
და მაშასადამეც —
ალარც მაადამეც,
ალარც მომექრთამეც, —
დამასამარეც და
დამასაფლავეც და
დამააკლდამეც.

ჩვენ არ გვჭირდება სეკუნდანტები,
არც მარტინოვი და არც დანტესი,
ჩვენ საკუთარი გველის ტანდემი
ანუ ქილერი უპედანტესი.
ჩვენ არასოდეს გავცვლით დამბაჩებს
და არ გადავთვლით მოკლე ნაბიჯებს,
მავანი კართან დაგვიდარაჯებს,
დაგვამუნათებს
და დაგვაფიცებს.
ჩვენ ვერ ავიტანთ დუელიანტებს,
თვალს ვერ შევარჩევთ პერანგს სისხლიანს,

რაკი ინტერნეტს ელირსა,
ეჩალიჩება ანტენებს,
არ ახსოვს ნიგნი ვეფხისა...
კომპიუტერი აშტერებს!
საიტზე,
სადაც ყეყერი
ემესიჯება საცოლეს,
ნატურალური ყაყაჩო
ასვენია და... ასწორებს!

ისე დიდხანს ჭრიჭინებდა ერთი ჭრიჭინობელა,
თითქოს მოეპოვებინოს ჭრიჭინების ნობელი.
ისე დიდხანს კაკანებდა მამალაძის დედალი,
თითქოს გაეცოცხლებინოს ფიროსმანის დეტალი.
და ჩვენც ისე ვიბლატავით ამასწინათ დიდგორში,
თითქოს აღარ გვევასება ნანილაკი — თითქოსი.
მაგრამ,
თუკი გახლიჩეს და
დამწყვდიეს ატომი,
მაინც რატომ გვედავება რამდენიმე რატომი?
თუმცა ამდენ გაცეხას იმე-იმე-იმეთი —

ერთი –
 ინვესტირებული –
 გვირჩევენია იმედი.
 ინვესტორმა სვა და სვა და დაგვილოცა სხვადასხვა
 ვენახი და ვენახი და
 ვაზის ცრემლის ზღვა და ზღვა.
 მაგრამ შაყირ-შარაფებში თხამ ვენახი შეჭამა,
 აგვიჯანყდა ზღვა ცრემლისა და შენ,
 ჩემო შეჩემა, –
 თუ მენავის მეინახე იყავი და ხარ და ხარ,
 დალოცვილო,
 ხელი მაინც გაანძრიე ხანდახან.

ოდა და ოდა

მოკვდა მითი: დარჩა ერთი მითილა:
 მთავარია –
 მოდიხარ თუ მიდიხარ.
 დრომ მრავალი მითის მითი მოტეხა:
 გააჩნია –
 მიდიხარ თუ მოდიხარ.
 მიყვარს ოდა ამ ოდის და იმ ოდის,
 დრო-ჟამი კი მიმოდის და მიმოდის.

ნასვამი

დარიალის ხეობაში –
 ნასვამ მდგომარეობაში –
 მივდივარ და მივიმღერი,
 შემაშველე, ტყეო, ბასი!
 მაცილებენ კლდეები და
 ვინრო მდინარეები და
 პატრულიც ვერ გამომიყვანს ნასვამ მდგომარეობიდან.
 და მე ჩემი დედულეთი სწორედ ამის გამო მიყვარს,
 ნასვამ მდგომარეობიდან „ნახელავი“ გამომიყვანს.
 უცებ — მთვარე! —
 უკაცრავად — ოდენ მთვარის ნახევარი! —
 მთვარალია თუ ნასვამია —
 ეგ ოსმალის ნახელავი?

ხელი გავიქნე

ხელი გავიქნე,
 ფეხი და
 ფეხი გავიქნე,
 ხელი და
 იღბალიც შემომეხიდა,
 შემომეხიდა ელიტაც.
 მაგრამ მეზარალა ფისტა,
 ხმა ვერ მივანვდინე დემოკრიტეს:
 ორშაბათს ხელი დამიქნეს და
 სამშაბათს ფეხებზე დამიკიდეს.
 ხატები წამოვიღე ნიშებიდან:
 ჭინკები ვერ შემაფერხებენ:
 ვიყიდე ნავი და ნიჩაბი და
 ხელები გავიქნე,
 ფეხები!

მოვამზადეთ მოედანი –
 მორწყული და მოსილული,
 მოვიწვიეთ: მისურული,
 მილოსელი, მოსულელი,
 გავიტანეთ სამერმისო
 ანუ საკოსმოსო ლელო,
 მაგრამ ვერკი შევარიგეთ
 სულელი და მოსულელი.

მამიდა

ყველამ მამიდას მოუაროს,
 თავის მამიდას,
 რაღა გადარჩა მამიდაბის სითამამიდან?
 ქადაგის ნაცვლად მოგვევლინა სხვა იმამი და
 კახელი ხუმრობს:
 — მანდამაინც ახლა მამინდა!

წოდებითი

ასეც არ შეიძლება,
 ამხანაგო სტალინო.

გალაქტიონი

ვერა,
 ვერ გავცვლი ბრუნვას ბრუნვაში,
 შეუვალა შვიდი ნიშანი,
 შეურცხვენელი მომწონს უღვაში,
 მანყოფის წყვილები ანბანისანი.
 იფანს ხანდახან ჰქვია კოპიტი,
 მხოლოდ რჩეული ავა პარნასზე,



მოთხრობითი და
 სახელობითი
 მიცემითებით დავაბალანსე.
 ერთიც სინდისის განაჩენივით
 მედავება და
 ლამის შევმინდე:
 როდესაც სდუმან დანარჩენები,
 გაორებული მიტევენ მეშვიდე,
 და როცა ვცდილობ,
 ღვინის ტანინი
 სიტყვის ჭაშნიკში შევგატანინო,
 უცებ ხელებში ამიფეთქდება
 დაყოვნებული ნალმი: სტალინო!

ორი თარიღი

1937

ათასში ათი ერია:
 საფლავი გაიზიარეს:
 საბჭოთა არტილერია
 ბომბავდა თავისიანებს!

1991

მზეს ველარ ეთამაშება,
 მთვარესაც ველარ უყურა:
 უცებ დაინგრა –
 ტაშებით
 აშენებული ხუხულა.

ბოლოს და ბოლოს მოვიდა:
 მოსვლამ აჯობა მოლოდინს,
 ისე მობრძანდა, შენიშვნას
 ვერ აკადრებდა ბოროტიც.
 მაგრამ იმდენხანს დაყოვნდა,
 იმდენჯერ წაიხალისა
 და ისე წაიხალისა:
 ნასვლა სჯობს წარმავალისა.

ელეგია

ველარ ცეკვავ, ვახტანგო,
 ვახ — ვალსი და ვახ — ტანგო!



ვახ — ლექსი და ვახ — ჟამი!
 ვახ — სეფა და ვახშამი!
 კაცმა რომ თქვას, ეგ სეფა
 რაკი არ გევასება, –
 ანკი რა გელექსება,
 ანკი რა გევალსება?!

„სანყალი“

კერპი იმერთა,
 ამერთა,
 აჭარელთა და
 კახთა –
 კარგახანს იდგა ამაყად შინდისფერ ბაირალთან.
 ტრფიალი გახლდათ ყოველთა ცხენთა და იარაღთა,
 ლილინ-ლილინით გაცვითა უნაგირი და ტახტა,
 და თუმცა უკიდურესად გალალდა,
 გაამაყდა,
 როგორც კი თვალი დახუჭა,
 უმალ „სანყალი“ გახდა.

ერთს კი არა –
 ათასს კურდღელს მისდევდა,
 ძმაცაცობდა მამალ ოპტიმისტებთან.
 ყველა დანვა –
 ადროვეს და იდროვა:
 უკან ერთი ხიდიც არ დაიტოვა.
 ამოკლებდა აჩქარების დაიჯესტს,
 გააგონეს:
 — კარგ ჩიტებსაც დაიჭერს?..
 დაიჭირა,
 მაგრამ არასდიდებით
 არ უშვებენ კურდღლები და ჩიტები.

გაიმეორე!

გაიმეორე,
 გაიმეორე,
 გაორებული გაიმეორე,
 ახირებული გაიმეორე,
 გაკვეთილივით გაიმეორე
 და პაროლივით გაიმეორე,
 დალილი ნიჭი გაიმეორე,
 სილაში ვარდი გაიმეორე,
 კრწანისი აღარ გაიმეორე,
 სვეტიცხოველი გაიმეორე,
 დედის სიზმრები გაიმეორე,
 ვაზის ცრემლები გაიმეორე,
 ორი თევზი და ხუთი პური და
 ათი ქალწული გაიმეორე,
 მეორე რომი გაიმეორე,
 მეორე ლოყა გაიმეორე...

მზა დედა ჩემი

დამიცადე,
 დამიცადე,
 ვიდრე ცამდე და მიწამდე
 მოვალნევედე და სამოთხის
 ნაკრძალივით დამიცავდე.
 შემახარბა ავოკადო
 ვარსკვლავების პარადიგმამ,
 ასტრონავტებს ავეკიდე
 პლანეტების პარადიდან.
 სინდისივით მესინჯება
 პულსი,
 რაღამ დამაკაოს?
 სიყვარულის მესიჯებმა
 მომაბრუნეს სამაქაოს.
 ნეტავ მინა მაზელინა,
 ნეტავ მენთოს ქურა ნელი...
 დედით ზემო-მარსელი ვარ,
 მამით – ქვემო-ურანელი.

დასაწყისი პირველ გვერდზე

ატლანტიდა კი, ალბათ, მცონარობით მთლად რომ არ წარმხდარიყვნენ (სხეულ-ითაც), უხვად იყო დაჯილდოებული იმ-დროინდელი სხვადასხვა წყალობებით... ეს დღესაც ასეა, შედარებით-რომ ძალიან ზარმაც ხალხს უხვად მოეპოვება ალმასი იქნება ეს თუ ქვანახშირი, ნავთი, გაზი, ურანი თუ ოქრო-ვერცხლი, ატლანტიდაში კი ურთხმელის დიდი, ძვირფასი ხეებიც მრავლად იზრდებოდა, და ატლანტიდა მუხითაც და ნიფელით, ცაცხვით ხომ შრი-ალეხა და შრიალეხა ოლონდ როგორ-ღაც გამაფრთხილებლად, აგრეთვე მრავ-ლად მოეპოვებოდა დიდად გამოსადეგი ობსიდიანი და ყოველივე ამას არამცთუ ცვლიდნენ ხორბალი იქნებოდა ეს თუ ჭვავი ან ქერი თუ ცერცვი, და ათასგვარი ნუგბარიც — ხეების გამოკლებით ყოველმხრივ მდიდარ ქვეყნებში — შუმერ-ში, ელამსა და ნილოსის დაბლობებში მო-ჰყავდათ ლეღვსულელა და ზოგიერთი პალმა უგემრიელესი ნაყოფით, სელისა თესლიც საპირისგემოდ მშვენიერი იყო და აგრეთვე დიდად მშვენიერი გახლდათ აბე-სინიური ბანანივით კივი და მანგო და ანან-ასი და ამეებს ძველი შუმერები, ელამელები და ჩრდილო-აფრიკელები თუ ჩვეულებ-ისამებრ შეჩვეულები და შეგუებულები, ჭამდნენ, ხოლო მდიდარი ატლანტიდელები ნეტარებისაგან მთლად თვალბმულ-ლულნი, შეექცეოდნენ ხოლო ღატაკები ათასში ერთხელ სულ სხაპასხუპით და მაინც სანახევროდღა ლეჭდნენ — სული უსწრებდათ, — კარგი რამ იყო, ესენები, და ქერიც ბლომბლომად ჩამოჰქონდათ და ხოლო ფუტკრები გამოუღვევლად-ჭარბად ბუდობდნენ შუამდინარეთულსა თუ ელა-მურ გამოქვაბულებში და ყოველივე ამის სანაცვლოდ კი მუხის, ნიფელისა და თვით ურთხმელის ხეებს აჭრევიდნენ ატლან-ტიდელები ამღებ-მიმცემებს,

ხოლო ხე ისე ძვირად ფასობდა ზოგი-ერთ მხარეში რომ შუმერული თუ საით-კენმე გრძელ გზას დაადგებოდა, აუარება სიმდიდრესა თუ საკვებს და უძვირფასეს ნივთებს მთლადაც ჩაურახავ ანუ უკარო სახლებში სტოვებდნენ, რადგანაც ხის კარი სახედრებზე აკიდებული დიდად-შე-ძლებულებად ჩათვლილებს — სწორედაც — ხით, ჰქონდათ, და იმათ შვილებსაც ნონოლა თუ მობრტყო თავები შესაბამის-სა ქუდში ეგულეობდათ რადგან მდიდარი მამები მთავარ ანდერძად თითო ხის კარს ანდა საიატაკე ფიცარს თუ სიცოცხლეშივე არ უბოძებდნენ, დაუტოვებდნენ-მაინც, და ეს უღარესად დიდ დანატოვრად ითვლე-ბოდა, და როგორც წესი ნითლად ლეზავდ-ნენ, ხეს უფროდაც-საზეიმო იერი რომ მის-ცემოდა და ხოლო ატლანტიდელები მიცვალებულებისათვის თუმც არ იმე-ტებდნენ ხეს არამედ ღარიბების გვამთ პოსეიდონის მსხვილი თუ წვრილი თევზე-ბისათვის შე-სამადლობელად, დიდად-ვრ-ცელს მლაშე წყალში ჰყრიდნენ ხოლო მდი-დრებს კი ძალიან სწვავდნენ იმათი სული რომ ცაში ასულიყო და აციებოდა ხომ მათი ტუხრები როგორ ძალიან, გიზგიზებ-და, და ხოლო ანუ ამ დიდ-სიმდიდრეს თუ რითი იცავდნენ ბუმბერაზი და კი არა და, დიდნილად ისე-რიგ ფრიად-გასუქებები-საგან მრგვლად დაფეხვილი სიარულისას, ატლანტიდელები, და — ხისა და ოსიდ-იანის წყალობით მარტო საჭმელ-სასმელი და ტანსაცმელი კი არა ამასთანავე და-ქირავებული ძლიერი ჯარი და სა-სამარ-თალდამცავო მთლად ჯალათები თუ არა არამედ მოჯალათოები-მაინც,... არა, გინ-დაცდა უსაქმურობის ჟამს — მთლად ჯალათები, ბლომდაც ჰყავდათ რომლებ-საც ლამექისა და ნოეს, ხოლოკი შემდგომ იშპაკა-რიქმა-სამაშასი დროს ანიჩქა-ნიქე-ლი და მზარდი კინტირიკო ხელმძღვ-ანელობდნენ ხოლო იმათ კი შეთქველევბ-ისა ჟამების გარდა ნილები ეკეთათ მაგრამ რა იყო აბა, ნილებში ცუდი — თუკი ცხ-ვარ-ლორის ხორცს ჩაიგდებდნენ ხელთ, მეორე ხელით ნილაბს სუოდანავ აინევდნენ და — პირდაპირ პირში და მერე, — ყლაპ.

ჰყავდათ აგრეთვე აქა-იქ განთესილი რაციონალიზა ტორ-ქურუმ-გა-მომგონებლებიც რომლებიც ისეთ დანინ-აურებულ შხამს ამზადებდნენ პადრებე-ბისა და მათი უახლოესი ქვეშევრდომების გინდაც აღმზრდელ თუ ძმადნაფიც-მტრე-ბისათვის რომ ამ კამკამა შხამის ერთი მძ-იმე წვეთი — თაფლუქსა ან ქერებ-ნაყენში და, ორიოდ წუთში გადაწვანებული და

მოკურნხული ეგოდ მინაზე სამიზანე-და ამისათვის მივლინებუშიაც და-იარებოდნენ ნილბის მოცილებით მარ-თლაცადა შენიღბულები (იხ. უშიშროების კომიტეტი),

და, ერიდებოდნენ ატლანტიდელებს, უხეე-ბოები.

სა-სამართალდამცავები კი დაქირავე-ბულთა შორის ფარულ-ხორცისა და სულ რომ არაფერი თვალყურის დევნე-ბისათვისაც ადგილობრივი ატლან-ტიდელებიც საკმაოდ იყვნენ რომლებსაც ძირითადად ამბის მიტანაც ევალებოდათ ხოლო ამისათვის კი მათ მუსიკათ-მცოდნე იშპაკა ყურთ (ანუ მოსასმენ ორგანოებს) ბგერებად-რიქმა დიდ-დაუცხრომლად და გულმოდგინედ უვარჯიშებდა ამ-ზემ-ლიაკებს, მიხვდით ხომ ალბათ — ყურებს ძაანაც უწევდა თუმცა ის ხოლო სა-სამარ-თალდამცავები ხანდახან საჭიროსა-ნიჭს ვერ იჩენდნენ ამაში (— ყურ-ადლები-ანობაში) მაგრამ ფრიადად-კარგაც ვრცე-ლი ტალანტი მოექვევებოდათ ტყვეებისა თუ ადგილობრივი დამნაშავეების

ტყვე ქალებსა და ბავშვებს კი ინდობდ-ნენ მაგრამ „დანდობა“ სხვა სიტყვაა, — ქალებს ბევრმხრივულად იყენებდნენ შრომა იქნებოდა ეს მინდვრებსა თუ ტყ-ეებში თუ შრომა-იატაკური თუ გვიმრო-ვანიდან პირაღმა ან პირდაღმა და იმათ-თან შექმნილ ვითო-შვილებს, „უკანონ-ობეს“, თავიანთთვის სასარგებლო შრომა-ში იყენებდნენ ანაზღაურების საერთო ანუ გამტყვევებური წესის მიხედვით (— შე-მოსავლის მეოცედისა ბოძებით), ხოლო სა-სამართალდამცავოეები ანიჩქასი და კინტირიკოსი წყალობით შედარებითულ მშვენიერს ყოფასა და დღეებში იყვნენ რაც მათ საუბრებშიაც აისახებოდა:

— კაცო რაღა გუშინ არ ჩამაიტანეს არც ელამელებმა და არც ურუქელებმა და ბაბილონელებმა დაკრონის შალვარ-ფინ-ჯაკები ასე თუ გაგრძელდა გადავა კიდევ დაკრონის მოდა,

— აბა? — ეთანხმებოდა სხვა სა-სამარ-თალდამცავო, — და უყარე მერე დაკრო-ნის კაკალი,

— კაკალი კი არა თვით ანანასის რა-ტკბილ ნაყოფსაც ვუყერი ჩემკბილებს ობ-

ლოებით იკითხება როგორც პუ-აბი, რომელი პუ-აბიც კამაროვნად-თალო-ვან აკლადამში იყო დასვენებული ხის სარეცელზე, პირაღმა,

ლილა-ქვებით მოოჭვილ მოსასხამში, ფუფუნებისამიერი თავსამკაულით — ოქროს ფირფიტებით და ვერცხლის ბაფთებითა და ლენტებით თმაში და აგრეთვე ჩაუტანებიათ მისთვის, რომ იქ არა-მოსწყენოდა და არ დაღვრემილიყო ათეულობით ფერად-მოსასხამიანი მოსამ-სახურე ქალები და ქალ-მუსიკოსებიც და რომ იქაცა დამტკბარიყო აიქა, სამარხში? — მრავალფეროვნებისათვის ეყვნებისა და ზანზალაკების გარდაც ჩაუტანებიათ განსაკუთრებული ოსტატობით შეთხ-ზული ქნარი, —

იქით მისი და აქეთკი რიქმა-შასასი მუზიკალურათ საყვარელი ინსტრუმენტ-ები, რამე, და აგრეთვეცა ვერცხლისმიერი ხარის თავები ლილა-ქვებისავე უღვამ-წვერიანები, და ტუალეტის ოქროს-მონყ-ობილობანი,

და ძალიანაც სხვადასხვა-რამ სამკაულ-უძვირფასესობანი და, მაინც,

ისევ და ისევ არმოსაწყენობისათვის ჩაუტანებიათ იგივე-მრავალმხრიობი-სათვის

დაფები თიხის ბრტყელ-მრგვალი ქვე-ბითა და ძვლის კამათლები ჩვენიც კარგა-დაც მშობლიური ნარდი-ს-მაგვარის თამა-შობისათვის, —

ჰოჰჰ, სასტაული! — ნარდი თურმე ჩინურ (და არა ინგლი-სურ) ფეხბურთზე უფროდაც ძველი თამა-შობება-რამ ჰყოფილა, კი,

ხოლო ცქვიტებითთება სა-სამარ-თალმცველი განაგრძობდა, კი, — :

— ნეტაი ისა-დურაქი კუკუ მაინც მეთამაშებოდეს ის სახეძალდი (ალბათ მდიდარი ძალიან, კუკუი, იყო? ის მერე რა რომ, თურმე დურაქი),

— კუკუ სათამაშოდ ველარა ჯდება წამდაუნში პრასტატა ააქ,

— ვაიი, ოლონდ კი ისა შექმეთამაშოს და ბანკას (— ქილას!) მივუბამ ფაქიზადა და სანამ ისა იმას გაამსებს მე ჯიბებსა ისე გავიმფსვ (— ?!) — რო რო მზე მაღლა იყვეს ჩემი ტკბილს ცოლშვილ გეფიცები, ძამა,

ცოლ-და-შვილები კაენიტლებსაც კი, და მათეულსა სინანტროპებსა და ავს-ტრალოპითეებსა და უდაბნოპითეებსაც კი, ანუ დღეს-დღეთობით ცოტა არ იყოს გადაპრანჭულად წოდებულებს — ქვემო და ზედაპალეოლითელ Homo neanderthalensis-ებსა და Homo erectus-ებს, ანუ დღევან-დელურიც Homo sapiens-ების წინაპრებსაც, ჰყავდათ და ცოლ-და-შვილები და შვილები

კი ნაღდად უყვარდათ,კი, რადგან დღეინ-დელ-დღევანდლამდ ხომ მოვალნიეთ, კი, და მაიმუნების მაგალითზეც (მდედრები-სათვის ერთმანეთს რომ აკი ხოცამდნენ) და რაღა თქმა უნდა შეამჩნიეს-ალბათ რომ თვითონაც იხოცებოდნენ ამისათვის და ნეანდერტალელებიდან მოყოლებული, ცოლებს ირთამდნენ ის მერე რა რომ ყოვ-ლად უ„მამა“ — ოდ და ისიც რა-დიდი ამბავი ხანდისხანობით თუ სადმე-რიყესა და უფროკი მოფარებულსა გვიმრიაში ანუ, განზე დაიშარტოხებდნენ გამოქვაბ-ულელ ძმადნაფიც-ნეანდერტალელებისა უ-მანდილოო-იანებს, ძირითადად კი როგორც მეცნიერები იტყოდნენ და ამ-ბობენ კიდევ ამას — „ცოლ-ქმრობისა ინ-სტიტუტი“ — რამ ჩამოყალიბებულ-იქნა მათ შორის,

ხოლო ამ საქმის რეკოლუციონერუ-ლად ავანგარდისტი ლამექი კი რომელსაც აგრეთვე იმდროინდელი ნეტავი? — „მამა“ — ის და ნოტარიუსულადაც (ნეტაი, ჰყავდათ?... რატო-არა?! — თუნდაც მხ-ოლოდღა მოლაპარაკებულობითონი-თობით,) ცილა და ყადა ორმაგულ-ცოლად და კიდე-რამტელი უმამა-ო ქალი, ყვანდა, და ეს თანდათან კანონის მცირე დარ-ღვევაზე რამდენად მეტად არაღეგალუ-რად თუ როგორ „ნათელ-თვალსაჩინო-ური-ლეგალურადაც კი სათავისგამომჩენ-ოდ, საამაყოც-კი ნაბიჯ-და-საქმედ შეიქ-ნა სხვადასხვაგვარულ-კალორიულ (საჭ-მლის, სასმლის და ტანისაც ხომ... — რო ნულა იტყვი,) ატლანტიდაში, ასე მაგალი-თად, სხვადა ბევრ სა-სამართალდდასა-დამცვევი-მითომაც ჯეილებისა ლაპარ-აკებში?! ძაანაც ხშირად და კოხტათ მომკ-ვარახჩინებულთა ერთის დარვისაც, გამ-

გურამ დოჩანაშვილი



კაცი, სახელად ნოე

სანამღავ-გაზით მონამვლასა და თავთა-კვეთასა თუ შუბით განგმირვაში, მრავლა-და ჰყავდათ ამა-საქმის ბაკალავრები თუ პრაფისორობის კანდიდატები, ეს შუმერე-ბიდან გადამოიღეს — „მეცხვარე თავის (ან სათავისო) ცხვარს შორიდანვე იცნობსო“ — რომელი შუმერებიც მამაკაც-ტყვეებს მონებად კი არ აქცევდნენ — მონები რომ ემუშავებინათ, მათ ხელში ბარი ან წერაქვი თუ თოხი და ჩაფჩაქ კი და ამისთანები შესა-ძლოა პატრონების იქითმკვლელ იარაღ-ად გადაქცეულიყო და თანაც თითო მო-ნას, რომლებიც თუნდ დაქსაქსულად იმ-უშავებდნენ ორ-ორი დარაჯი მაინც ეს-აჭიროებოდა და ასეთი შრომით შრომის რაღა გამოყენება იქნებოდა, ეს, და ამიტ-ომაც შუმერების ნაბაძვით, თუკი სხვათა ხარჯებზე მოგებულ ომში მოპოვებული ტყვეები სა-თავისოდ ჩაუვარდებოდათ მა-მაკაცებს ჰკლავდნენ რაც შუმერულ ნახ-ატებში როგორ-მიუღებელი სიმართლი-თაა (არსებობს ასეთი სიმართლეც) აღნ-ერილი — ხელემბეკრულ, დაჩოქილ ტყვეებს როგორ ხოცავენ მახვილებით, და ამას არ გადაიღებდ-გაითავისებოდნენ, ატლანტიდელები? ხოლო იმათი სა-სამარ-თალმცაველოები კი ნიძლავსაც დებდნენ ერთმანეთში თუ ვინ როგორდა-ოსტატ-ურად ნააცლიდა თავს ან შუბით ორ თითი-თლა თუ განგმირავდა ტყვეს ანაცდა იმ ორი თითით რამდენად სწრაფად მოგუ-დავდა ტყვეს და იმათ გვამებსაც პოსეი-დონის თევზებს უგდებდნ-აჭმევდნენ „ზღვის ნობათი“ რომ მომრავლებულიყო ხოლო წარჩინებულები ამა საქმისა ცქერი-სათვის გაისვრიდნენ, თვალს? — ფარულ თაფლუქ-პურ-მარილებში მიედინებოდ-ნენ, სა-სამართალდამცავებისათვის ვით-ომც დიდად საპატივისცემო დავალების მიცემის შემდეგ —

„მე ქეიფში ნავეთრევი და შენ კი ნახ-ირში წაბრძანდი“ ო,

და, ხოლო იშპაკა-რიქმა რადგან მარ-ტოკალმ იცოდა მუსიკალური ბგერებისა I-II თურმეობითობები,

მაღლა ეჭირა ძალიანც თავი, რა სისულელე იყო განა-მართლა ხსნორა გამონათქვამი, ეს, —

„მარტო მრბოლი ცხენი ხალხს მენინავე ეგონა“ ო,

სიდიანის გრძელი დანით ისეთ სქელად რო სქელ კუსკებად (— ულუფებად) დაეჭრა როო, სულაც შენი მონონებული,

— მე კიდე გამითავდა, ხოცი, ანანასი და პაპირუსის ყლორტები მაგრამ კივი და ქოქოსის პალმის პირშისახელი კაბლო-მათ მათ,

— კაია ეგეც მაგრამ მე რომ გამომე-ლია მანგო ის ძველი რაღაც ორმოციდ ცალი დამრჩა მაგრამ ამასაც არა უშამს-რა, ტყვილია კიარ მაქ ცქვიტი თითები ვინმე-რამ ჰარიფ-ვინმესა ვეთამაშები ჯუხტ-კენტობანას ბაბილონური თხ-ილებითა და, თუ ხოლო არ გასულელდება და არ მეთამაშება გინდაც ხოპკანას (ნეტა როგორი თამაში იყო, — ავტ.), ვინმე, მა-შინ იმას ან სხვა ვინმე ბითურს სუ ცხვრისა დუმებს ამოვულე ჯიბებიდამ და ისეთი შტრაფად საგადასახადო შევანერო რომ, ქოქოსის წვენი კი არა და თვით სუკ-სუკე-ბიც გამოუღვევლად რომკი მქონდეს (კაცო, ეს „სუკა“ მთლად იმთავითვე ხუარ შეერქვათ სა-სამართალდამცველოებსა, ჰა?) ვერ მოვუგებ თუ რა ამითთებთა ჰოპ-სტოპის თამაში, — ნეტა ეს რაღა თამა-ში იყო, „ხოპკანა“ აღარ გვეყოფოდა? „ჯუხ-ტი და კენტი“ — კი-ბატონო, კი, აკი ხომ ვიცით ჩამორჩენილმაც დღევანდლებმა... თუმც, რატო-აბა „ჩამორჩენილმა“, ჩვენ-ხო სულაც ვისეთ-ისეთი თამაშობებიი, ვიიციოთ? — მტრისა და ავისას... მაგრამ რამდენიც გინდა მიდი შენა და ინტერიე თავი შუმერეთსა თუ ბაბილონში აღმოჩე-ნილ რაღაცა თიხის ფიქვებისა (— სა-დამთმელა-ოები, თამაშობებში) და თიხ-ისავე პანია ოთხკუთხედების მიხედვით თუ რასა და როგორ და როგორც და რა ცბი-ერ-ულაად — აბა ულააა!... — ეე, არამედ როგორ ჰთამაშობდნენა უცხო თამაშებს და კიდევ კარგი რომ ჯუხტ-კენტობანას გარდა აღმოჩენილი რაა იქა სხვა-ც-მო-ნაცნობი თამაშობანიც,

ასე მაგალითად ურის I დინასტიის დროინდელი ერთ-ერთი განსაცვიფრებელი არ-ქეოლოგიური აღმოჩენა,

დიდ-ქურუმ ქალისა თუ ყადასადამაგ-ვარი მეფის-დედოფლის ანუ პადრეფალ-ისა აკლდამაში —

რკმლის სახელის ზუსტად ნაკითხვა შეუძლებელია მაგრამ სემიტურად კი დაახ-

ოსმოდან, ასეც:

— მე კიდევ უთხარი (— არამედ „ვ“-უთხარი უნდა მიეთხრო-ეთქვა — გრამატიკასთან ზოგიც-ჯეილი მწყრალადა იყვო), წამოდი ქალო და დედაკაცო ერთი ისეთი რამე გიჩვენო რო მთვარე მალდა იქნება-მეთქი და ჰინტერესში ეგრევე ჩავარდა ქალი ჩვენა ხო იცით (არამედ ხო „ვ“-იცით!) ყველამაა როგორიმად ინტერესნებიანებია (არამედ ინტერეს-„ვ“-ვნებიანებია...-აქც!

ყველა და რო გავიყვანე რიყეზე, არა?, მართლა ისეთი რამე ვაჩვენე და თანაც იმას მართლა-პირველათ რო სამე მთვარე მართლა ცდა ძანაც მალდა იყო დაა, აბაა, ერთი და ორი, ერთიდაორი, და კარქა-სუქანი („მ!“ — სუქანი უნდა ეთქო, კ-„ვ“-იკი, კვიი,) კი-იყო მაგრამ სულსუ მთლადაცრო ბოლო გრამამდე ავითვისე პირზე სუ ხელებს ვაფარებდი როარ ეკივლან ან იმით ანდაც იმისაგან და იმის მაზლსა ჰარეგინას როარ გაეგო ხოიცი ჩვენის დემონკრატულ (— გავლენა ანიჩქასი) კანონ-კოდექსით მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ ისიც შინაურ-გარეულიაო და თანაც კანსტიტუციითხო თითოდ-კინკილა ცოლისებური უნდა გვეყვანდეს (ეს უ„ვ“-ობა ძლივსა ცოლათი გამოასწორა, კი...)

— მაშ როგორ, მაშროგორ, ისემც... — მთლადაც ღიმილით ორაზროვნითაც და არაორაზროვნოთაც შეეხმინა დოსტ-დამსმენელი,

ხოლო იქვე კი:
— კარგია, კუკუ, სუქანიქალი ერთი ხელილა ხოპკანა ანდა ჰოპსტობობანა ხუარ ხვარ გვეთამაშნა შენი ფული და ჩემგანაკი სუქანი-ქალი ჩემზედ იყოს შეფსლიკიანო ტყვილათე ხოარ შეგაბი, ბანკა (— ჩამაქენინეს, შესწორებებზედ, ხელი),
ხოლო ქალები და თიხის ქილები და სხვაც ნაკეთობა კერამიკული სხვადასხვა მოდას, განიცდიდნენ:

ურუქისადაპირობაზედ ცოტათი ოდნავ მოგვიანო თეფე-ჰავრასა და სხვაც სამხრეთ-შუამდინარეთში აღმოჩენილია იმდროინდელი მსხვილ-მსხვილ ქალების ქანდაკებების (დიდი მკერდითა და ორსულობის ხაზგასმული ნიშნებით) გვერდით უბაიში აღმოჩენილ-იქნა (IV ათასწლეული) ტანით კენარი თუმც ამასთანავე მკერდ-თვალსაჩინო თუმც ნელქვეით შემოსილი, — ეპ... და ამასთანავე რატომ-ღაცითი მრისხანებისაგან მძვინვარე გამომეტყველებისა და დონიჯ-მკაცრად-შემორტყმული ქალის ქანდაკება, სულ-რალაც IV ათასწლეულით დათარიღებული, და თიხაზე დიდად ოსტატურად, მართლაცდა ნაღდი შთაგონებით გამოსახული ცხოველებით (ირემი, ცხვარი, ძაღლი და სხვა) საბეჭდავები — მაშინაც იყო, ყოფილა-ეპ, ეპ, ბეჭდობანა და ბეჭდობია და ფეჩათები, ეეპ, — და, ამავე დროინდელ სამარხებში დიდად უცნაური გამოსახულებანი თიხაზე, ადამიანისათვის ერთდროულად როგორ შეუთავსებელი — ჯვარი და სვასტიკა, და, საოცრება, თიხის ერთ მრგვალ საბეჭდავზე კი, პირისპირ მჯდარი კაცი და ქალი (— რომელთაგანაც ერთერთს ერთით ნაკლები ნეკნი უჩანს!) რომლებთანაც შეყალყულ გველს ერთ-ერთის ყურთან მიუტანია სამკუთხა თავი — ალბათ იმ ადამისადავასდროინდელ მაც-თურობას-რამს, ჩასჩინებებს, და უბრალ-

ოსა თუ ბრალიანსა სამარხებშიაც კი მრავლად ვხვდებით თიხის უბრალო ჭურჭელში ჩარჩენილი შესაჭმელ-საჭმელების (ანუ მიცვალებულთა მიერ იმათი პატრონების აზრითა და ყურადღებით? — შესამჭამებლურ კერძებისა) ძვლებს (ზოგან ოდითგანვე, მინისქვეშა ცხოვრებისა, დიდადა სწამდათ... ისა-სამოთხე კი, პირველ-ადამის გამოვლილი? — მთლად თუ არა და, სუცოტა ძალიან-ნაკლებ, ანუ თითქმის სულ არა სწამდათ და გამოერეოდათ ხოლმე-მანაც, გამონაკლისნი, მერე და შემდეგ, გავიგებთ შემდგომ.)

და სამარხებში აღმოჩენილ ცარიელ ჭურჭლებს —

ალბათ წყალისათვის — და სწამდათც ალბათ წყალს-მიღმა გადაყვანა იმ მარადიულ ქვეყანაში (იმ ადრინდელ-სამარხებში ხშირად ნანახი მცირე ზომის ნავებიც ეგებ მოწმობენ, ამას),

რომელიცა რომ ისი-ქვეყანა ძლიერ შემდგომად ბერძნული აღქმით (ქირონით, — ჰადესამდე),

და ზოგ ცალგვერდზე მწოლი ჩონჩხი თუ ძალიან მოკუნტული, ზოგიც პირალმა, გაჭიმული წვეს, ხოლო თიხისავე მცირე ქანდაკებები უბაიდური ძველ-„კულტურისა“ (ბრჭყალები მგონია ზედმეტია აქ) არიან არაბუნებრივად აწელილ-დაჭიმული ტანკენარი ქალები (მარტო ის ერთი, ესპანეთის ერთ-ერთი მღვიმის კედელზე მთლად ერთიან-შავად დახატული მალალი კლდიდან თაფლის მომპოვებელი ქალის როგორი ნატიფი, წარმოდგენლად ლამაზად ჩამოქნილი ქალის სახება როგორ-დიადი ქმნილებაა, და უფროც მეტიც მიმზიდველობისათვის ფეხების დაბოლოება, ტერფები მთლად ფიროსმანის შეველ-ირემივით, ჩლიქები წყალით ნაკვეთილი, აქვს,

და თუმცა იშვიათად კაცების ქანდაკებებზეც გვხვდება ისეთი დეფორმირებულ-სახიანები რომ კურდღლებსა და ბაყაყებს მოგვაგონებენ, ქალებს კი გულზე მიუხუტებით მთლად ჩვილი ბავშვები —

„და გახდე (გახდები) შენ ყოველივე ცოცხალის დედა“ —

და არცთუ იშვიათად თიხის მთელ სხეულზე, განსაკუთრებით კი მხრებსა და მკერდზე ჩასმული აქვთ ქუნჯუთის (მცენარეა) მარცვლები, თვალებში კი ფინიკის კურკები აქვთ ჩასმული და ძვლებიც ახლავთ, რაც, იმ გრძელსათაურიან ნიგნში, „I à n è à“ — ს მიერ გამოცემულში გამოთქმულია ის აზრი რომ ეს შესაძლებელია იყოს „სინკრეტული (პირველყოფილური) იდეა ნაყოფიერებისა ყოველი ხილული ფორმებისა-სიცოცხლისმიერის, მინაზე, — მცენარეული, ცხოველური და ადამიანური სამყაროებისა“.

მაგრამ ეს ნიგნი, დიდად საყურადღებო აღმოჩენების აღწერებითა და შიგადა-შიგ თუმც ზედაპირული დასკვნებით თუმც დიდადაა ნასაკითხი, თუნდაც ცალმხრივი აუცილებლობისათვის მაგრამ გამოცემულია 1983 წელს, ხოლო მასზე მუშაობას კი სუცოტა 5-10 წლით ადრე, ანუ

გაქანებულ „საყოველთაოდ სასიკეთოდ მავალი მომავალი ბედნიერებისაკენ მუხლჩაუხრელად-სწრაფვულ სოციალისტურ ხანაში“ (აქა ბრჭყალები აუცილებე-

ლია) შეუდგებოდნენ და ამიტომად იმიტომა ზედაპირული რომ მასში-იქა ვერსად იპოვნით რადგან ვერ ვხვდებით ბიბლიისეულ — ანუ ერთადერთ და მთლად მთავარ და სუყოველფერზე ღირსეულ მართალ-უმალღეს-განმარტებებს სამყაროსა და ადამიანის შექმნისა და მისი რაობის შესახებ და გვიამბობს ნარღვენაზე (თუმცაკილ ნარღვესეული წყალდიდობა ბიბლიის გარდა სხვაც ერის-კაცულ ნაწარმოებებში ხშირადაა მოხსენიებული მთლად ძველთაგანაც და დიდ-მხატვრობით — მარტო გილგამეშის „ეპოსი“ რად ღირს,) და იმაზეც არაფერია ნათქვამი ადამიანები სულით და ამიტომაც ხორციითც როგორ ეცემოდნენ და ეცემოდნენ და დაეცნენ, ძლიერ, თვით უდიდესი ნარღვენისაც კი ღირსად რომ გახდ-მეიქნენ,

ამასობაში, კი? — :

— ჰაა, რა ქენი, კუკურიკოვ, მაყუთი მაიტანე? — დიდის ცნობისნადილით დაეკითხა მობრუნებულსა გატყავებულს (გადატანითი მნიშვნელობით, ეს) ის ცქვიტითე სა-სამართალკეთილ(ვაიდ)დამცავი. — ვერა. — მწარედ სთქვა ბეჩავმა კუკუმ, — მაშიჩემი სწორედაც რომ იმ ტუმბურქასთან იჯდა.

ძალიან მწარედ ნაღველ-ნარევი სევდა ედგა, კი, მთლად საბასთურმედ გატყავებულსა კუკუსა თვალებშია და, პირისახეზეც.

კი. — :
კუკუსიმამას შიგ ეზომივე ჰქონდა ობსიდიანის საბადო ხოლო ქალაქის გარეთ ვრცელ ტყესაც ჰფლობდა და ფულშიშხათი ბლომდა ჰქონდა რომელსაც კარგა-მოზრდილსა ხისა ტუმბოში ინახამდა და დიდი ბუღლოგიც ესო იქა მაგრამ კუკუსა ბუღლოგი-იგი კი-სცნობდა მაგრამ თავისუფალს დროს სულ იქა იჯდა კუკუსი მამა, და შამქმნელი.

— ჰოდა, მე კიდევ ფუფლოზე ვერ გეთამაშები კუკურიკოვ.

— რატო ფუფლოზე (— ფუჭად; ამოხე); პრისტავკა აბა რომელი ფუფლოა ხოლოთ ცოტათი დრო კიდევ უნდა, სუ იქა-იქა ტუმბურქაზე ხოარ იჯდება ჩემი ძვირფასი მამა-მშობელი ბოლობოლო ხო დაიძინებს როცა იქნება ჩემი მამა და ჩემი მშობელი ის შობელძალი და გამოვიტან და მოვიტან ნაღდათ, მეთამაშე რა?

— და მერე იქვე რო ჩაეძინოს თუმბურქასთანა (— კაცო, ტუმბურქა და თუმბურქა კი არა არამედ — ტუმბო, თქვე ასეროგორ ანტი-პოლიგლოტებოუვ და სახენაცძალღებო, თქვენ... ფიპ...)? ვერა, ფუფლოზე მე სუსტსა და ჰარიფსა-როგორ სულაც სუვერა შამიძლიან ჰომ-სტოპებისა კობტა თამაში, კუკურიკოვჯან.

— და მაშინ, გინდა ჩაეძინოს? მითომაც ძან უცაბედათ რამეს გავტეხამ და იმხმაურზე გავანღვიძებ (აიი, აქაც-ანიჩქას მადლი-მეტნყველებითა... გადამდებნია, სა-სამართალროგორდამცავებიც, კი), ძალიან სურა გამიწყრება, ვუყვარვარ მამას მაშინ ჩემი ის სიფათძალი და გადანევა, ნაღდათ, საწოლში.

— და მერე დედაშენ რალას უშვრები, როდის ნავა და ჩაივლისა იმ თუმბურქასთან (ა-კიდევ, კიდევ... მამკლა ამ-ხალხმა... ელაპარაკე, ამათ...) კაცმა იცის ნეტი როდის მოეხუტურება... არა, ეე... მოუნდება ანიჩქასთანა წათრევი... არა, ეე... მიბრძანებითი მისვლა-ან-მოსვლა.

კუკუსი დედა, ძანაც ველურად-ამოდ მოცეკვავეი ახალგაზრდობაში, სახელწოდებად პოპკუნა, რადგანაც იმისი ქმარი სახელად ფინლანდა (დიდ ხე-ტყესც ჰფლობდა) და თანამდებობით ასე VII-VIII კაცი ატლანტიდასი, და სწორედ ისა და ანიჩქა კარგი-რამ დიდათ მეგობრები იყვნენ, პოპკუნა ამაანიჩქასთან ბნელ-ლამეობით მძიმე საქციელებს დიდათ ცეკვურად აღასრულებდა ოღონდ ნოღელსა სწადიდა ამას სასაკითხი, თუნდაც კრინტს არა სძრავდნენ არც ფინლანდა და ალარც ანიჩქა და რალა თქმა უნდა არცაც სრულიად-ატლანტიდელები ფინლანდა+ანიჩქა-ს შიშით, ერთი პოპკუნა-დ თუ დაიტრახებდა ამას და თანაც ისეთის მოჩვენებითი გატაცებით რომ ბევრგან ნერწყვემოდგარ ქალებშია, იმათ იცოდნენ ანიჩქასთანა წონიანსა კაცებთანა დიდად-ამხანაგურ ახლობლობისა წონა და ფასი — სხვა თუ არარა, ქათმის კურტუმი რო კურტუმი აი იმასაც არ უპოვინდნენ ჯიბეებშია მთელ იმათ ოჯახს ანიჩქასი და კინტრიკიკოსიც მრთელ-გუშაგები — გაფრთხილებულები

იქნებოდნენ ძალიან, კი, ხოლოკი საკუთრივ პოპკუნა+ანიჩქა-სი ამბავი ყველამ შეუნიერ-კარგა იცოდა, რადგან, რადამალულა კონსტიტუციურ ატლანტიდაში, გულ-თვალ-ყურ-და-ხელ მცნობავნი, იყვნენ, და კუკუ-იმისი იმისი დედაც აბა როგორლა იქნებოდა, გამონაკლისი ხოლო ანიჩქასი გულისა და სხვარამეებისც ყოილი იმიტო იყო ისი უკვეც წნობაშეპარული ქალი, რადგან, პოპკუნამ მაგარ-ხერხებიც მაგრა იცოდა სტაჟიანური იმისობისას, მამა; და:



— ჯანი გავარდეს, — თქვა ცქვიტითიებამ, — მაგრამ, ვაითუ, — „მინდროშია ქინძმარო (ანუ ანიჩქა ქვედაც პოპკუნა), გინდ იყოს და გინდ არაო“...

— როგორ თუ არაო (კუკუსა ფულზედ ეგონა ნათქვამი-ესი), იქნება, იქნება, ვაიი, — მთლად შეიცხადა კუკუმ და, თიხისი ქილა შეისწორა.

— ხოარ გაგემსო? — მზრუნველად ჰკითხა კიდევაც მეტად გასატყავებულს გამტყავებულმა, — მიდი აბა და, გადააქციე.

— მაგრა გამემსო ძალიან, ძან. — თქვა კუკუმ და განზე გავიდა — მეტადაც შარდთამდენია, ნაგებებები.

ცქვიტითიებამ კი ზვინად მდგარი თიხის „ფიშკები“ და კამათლები მთლადაც არცქვიტად, არხეინად გადააწყო თავის ჭკვაზედ რადგანაც კუკუ ქილასა სცლიდა მიფარებულში და, თქვა:

— რალა ოხრობა და თვალთხელთამც-ცომა აღარ მინდა ამე-ოხერი ფულიგულითი ეპ მეკი ხელისჭუჭყს რო ავუკივლო პატრონიდედა.

— კარგი ხარ ცქვიტავ! — ზომიერად და თანაც შურით აღფრთოვანდაცა ერთიც სამართალდამცავი ანუ ჯალათი რომლის სახელიც თუმცა არ ვიცით, მაგრამ —

დიდიამბავი.

ხოლო თითების, ყელისა თუ მავის სამშვენისები სამხრეთ-შუამდინარეთელთა ნამხედურობით სხვაგანაც ფართოდ და მარჯვედ გამოჰყავდათ ნიჟარებისა თუ ფერად-ფერადი ქვებისაგან, კაჟისა და ოხსიდიანისგან კი ამზადებდნენ მოკლე თუ მოგრძო დანებს, მოკლე ხერხებს, მომცრო საფხეკებს, საჭრისებს; მრავლად ჰქონდათ ატლანტიდელებს ხეებში გადაცვლილი თიხისა და ქვის საბეჭდავები, თიხის ნავების მოდელები (ისევ და ისევ — სხვა ქვეყანაში ჩასულთა იქაურ წყალთა, გადასაცურად?), სამოსელად და ნოხებად — მატყლისა და სელის ნაწარმი, გაანდა თუ წელიწადის რომელი დრო იდგა — ცივი თუ ცხელი, შემოუდიოდათ უკლებლივ და განუწყვეტლივ ნოყიერული ფუფუნების საგნებიც, მრავლად:

ვერცხლი — მცირე აზიიდან, სპილენძი — ომანის ნახევარკუნძულ-იდან, არაბეთიდან, ოქრო — ისე-შორეული ინდუსტანიდანაც კი, ნითეი ქვა სერდოლიკიც (სარდონი), — იქიდანვე, ავღანეთიდან კი ლურჯი ქვა — ლილაქვა,

რა ენაღვლებოდათ რა — ხეები, იმათი ჭკუით? — თავისით იზრდებოდნენ.

დიდ-განცხრომაში კი-ცხოვრობდნენ ზოგიერთები მაგრამ შეუჩერებელ, ჯიუტსა დროს მაინც თავისი რომ გაჰქონდა?

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ამ რომანის პირველი ნაწილი დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“. 2011. N1-5.





პატარა შამუგია

ჟანრის კანონი

„პატარა ადამიანო, მე ვიცი, დიდი მომენტებიც გქონია ცხოვრებაში.“ რაინი – „პატარა ადამიანი.“

ეს კვალი ჩემი კი არაა, ყავარჯნისაა, მე რიგითი ვარ, კვალს არ ვტოვებ და „მარჯვნისაა-კენ!“ – რომ მეტყვიან, მარჯვნისაკენ მივეფორთხები. ასეთია ვინაიდან ჟანრის კანონი.

არ ღირს, გამოჩნდე რამე აზრის ოპოზიციად, რომ არ დაირღვეს ჰარმონია, კომპოზიცია. ვარდის და ნეხვის, რომ იტყვიან, ალქიმური ქორნილი რომ არ ჩაიშალოს. რომ ჩაიშალოს, აირევა ჟანრის კანონი.

ვილაპარაკოთ ლაფონტენზე, ზუთხზე, ლოქოზე, იყოს პათოსი უფრო მეტი, ვიდრე ლოგოსი, ოღონდ სიმართლეს ნუ მივახლით ადამიანებს, რა საჭიროა? ბოლობოლო, უხერხულია, თან სულ სხვა რამეს გვეუბნება ჟანრის კანონი.

აგერ კაცი რომ მიიპარება, წყვილი ბატი არ მიეზარება, მაგრამ ის მუდამ მართალი არის, და მე ვიტყვი, ცამდე მართალი, ასეთია ვინაიდან ჟანრის კანონი.

ყველა, ყველა და, მე კი ვიცი, მაშასადამე, რა საერთო გვაქვს მუშასა და მე, ან ნებისმიერ ვინმესა და მე, ჩვენ ჟანრის კანონს ვემორჩილებით და მორჩილების რუტინას ვავსებთ ახალ-ახალი ფერმკრთალი ხაზით, ასეთია ვინაიდან ჟანრის კანონი.

მე ვიღებ ყველა გარეგან პირობას, როგორც შინაგან კონსტიტუციას, ავტორიტეტის ბეჭდით დაბეჭდილს: მიმყავს ბულოგი, მომყავს ცოლი, გამყავს ცხოვრება, ასეთია ვინაიდან ჟანრის კანონი.

ნანყვეთაჲი პოეზიიდან „დაუჯდომელი“

კონდაკი 1

ეს ამბავი მაშინ მოხდა, როცა პირველი ადამიანი გამოჩნდა, რომელმაც გარკვეულ ხანს იცოცხლა და ბოლოს ყოვლად ქრესტომათიული სიკვდილით მოკვდა და სამი დღის მერე (კინოშიც ნახავდით) ფეხზე წამოდგა, გაიარ-გამოიარა, თვალი ჭერს ჰკიდა, ღიმილი ზარბაზანივით გადმოჰკიდა ტუჩებიდან და ლექსი დაწერა, ლექსი, რომელიც დღემდე იწერება და არა და არ უჩანს დასასრული. ესეც იმ ლექსის გაგრძელებაა, ისევე, როგორც ყველა ლექსი.

და მე ვიხილე კაცი, რომელიც ისე გულიანად იცინოდა, თითქოს სიცილი მხარზე გაედო და ჯვარივით მოასვენებდა, და მოჰყვებოდნენ თანამესიცილენი და ყელამდე სიცილში მდგარნი ფონს ეძებდნენ და ვერ ჰპოვებდნენ

მხოლოდ ის ერთი ახერხებდა, სიცილზე გაეელო,

და ეს პოემაც სიცილზე იწერება დიდ და ქრესტომათიულ სიცილზე, რომელიც ერთხელ ყველას შეემთხვევა, მადლობა უფალს.

კონდაკი 2

იდგეს გრძელი სიცილის წელი, კვირტები და ასფალტი დასკდეს, ქალებს ჭუძუები დაუმიძიდეთ და თმის ნახევარი ჩიტებად ექცეთ და ყოველ დილით ივარცხნიდნენ ბულბულებს და შაშვებს და მწყრებს და კოლიბრებს და ფარშევანგებს და მონადირეები იპარებოდნენ იმით თმაში და ნაწნავებზე დაკიდებულები ისროდნენ თოფებს და ხოცავდნენ ბულბულებს და შაშვებს და მწყრებს და კოლიბრებს და ფარშევანგებს... გარეთ კი იყოს გაზაფხული, და ყვავილების სუნი უხერხულ ხუმრობასავით ჩამოდგეს ოთახში...

იკოსი 2

თეოსოფიამ დაამტკიცა, რომ უფალი არ არსებობს, მადლობა უფალს. რასაკვირველია, უფალს სრული უფლება აქვს, არ არსებობდეს. ეს ძალიან დემოკრატიულია. მადლობა უფალს. თუ მაინცდამაინც, ვისურვებდი, ღმერთი პორტატული ყოფილიყო, დაკეცავ – ილოცებ, გახსნი – იჩათავებ. თუ რამე – ჩამოჯდები კიდეც. განა ღმერთი შვებისთვის არაა?! მადლობა უფალს. არავინ იცის, რა პერსპექტივები თვლემენ მომავლის მღვიმეებში. მჯერა, ასი წლის მერე ყველა სამოსან მესამეკლასელს შეეძლება ადამიანის გაცოცხლება, რაც განმარტავს მომავალს, როგორც სრულიად მოწესრიგებულს და მაშასადამე, სრულიად აუტანელს. მადლობა უფალს. დარწმუნებული ვარ, ღმერთი უარს იტყვის რეპრეზენტაციის კლასიკურ ფორმებზე და მეორედ მოსვლისას შესაძლოა ლიმუზინით გამოგვეცხადოს, როგორც რობერტ დე ნირო ან ლედი გაგა. მადლობა უფალს.

ყოველივე ეს ესთეტიკურს გახდის აპოკალიფსს, რაც, რა დასამალია და, ყოველთვის აკლდა ესქატოლოგიურ პასაჟებს. მადლობა უფალს. ესთეტიკა სიამოვნებაა, სიამოვნება მოწყვლადია, რაც მოწყვლადია, ლპება, რაც ლპება, კვდება, რათა ხელახლა მოვიდეს და მეტემფსიქოზის მოყვარულები აროკოს ხელახალი სიკვდილის სიხარულით. მადლობა უფალს.

ნარმოსახული იკოსი 3

ჯდე ინახად და წვიმდეს საჭმელი (კულინარიული ონტოლოგია ეს საერთოდ ცალკე დარგია). ოი შემწვარი ჯიხვი, ოი ქაბაბი, შაშხი, ლორი. ოი ლორი, ოი პაშტეტი, ლორის ენა, ათასგზის ოი, ცვრიანი სუკი, ოი სუკი, ოი უფალს, ბიოეთიკა არ იძლევა ნარმოსახვის უზომოდ გაშლის საშუალებას. ოი ბიოეთიკა, ოი ღომი, ოი ელარჯი, ოი ქათმის რაგუ ქოთანში, ოი ლობიო ქოთანში, ოი ოი ვაი პელმენი ქოთანში ფსიქონალიზური გააზრებით, ქოთანი დედის საშოა, რომელშიც პრეემბრიონული მოგონებები პროეცირდებიან, ქოთნიდან ხვრეპა კუნილინგუსია, ინცესტის არომატი. ოი არომატი, ოი ვაზის ტოლმა, ოი ხინკალი მოხეური და ოი ოსტატის მოხვეული და ზედ ჭაჭა-რაჭას ბოცეული და... სულ ერთი წამით ნარმოიდგინეთ, მაჯებისკენ დაძრული ხინკლის წვენის ტრექტორია, შეფარდებული მისსავე სურნელთან, რითაც, რასაკვირველია, არ მიიღება ოი მათემატიკური მუდმივა, მაგრამ მიიღება ოი ოი მუდმივი სიამოვნება. მადლობა უფალს. ოი უფალს. სამგზის ოი, მწვადგზის ოი უფალს...

იკოსი 3

კომუნიკაციები მოშლილია, სიტყვები მნიშვნელობის გარეშე დარჩნენ. და ამიტომ ქილიკობენ კავშირის შეუძლებლობას მოხუცები – მეზოზოური ისტაბილური, ნაოჭებში ჩამალული ტრანსგრესიით, ოხ, ეს ტუტუცი ბებრუცანები. ღმერთო, ჩახოცე ისინი, მადლობა უფალს. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვსაუბრობთ ალმატებულ თეორიებზე, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ არავის ესმის, იმაზე, რომ ვერცერთი ჩვენი აზრი ვერცერთ პატიოსან ყურში ვერ დასცემს კარავს. და ეს არის ტრაგიკული დროის ნიშანი. მადლობა უფალს.

კონდაკი 7



გახდე პოპ-ვარსკვლავი, შენი ლექსები გახდნენ საყოველთაო და შენს კარებთან მოსკიტებივით დაძრწოდნენ ჟურნალისტები „ბი ბი სი“-დან, „სიენენ“-იდან „ალჯაზირადან“ „რუსთავი 2“-დან და „კავკასიიდან“ (და რატომღაც, „ნეიშნალ ჯეოგრაფიკიდანაც“) და ცდილობდნენ, თუნდაც ერთი ექსკლუზიური ბლუჟუნი გამოგდალონ,

მადლობა უფალს.
შენ კი იცინოდე
იცინოდე იცინოდე იცინოდე იცინოდე ისტერიულად
და არავინ იცოდეს შენი სიცილების შესახებ
ან ჩვენ თვითონ რა ვიცით
საკუთარი სიცილების შესახებ.
ზოგჯერ მათი არსებობაც კი
ძნელად მოსაჩხრეკი ხდება,
რაც, ცხადია, არ გამორიცხავს მათ არსებობას,
თუმცა, რა დასამალია და,
მაინცდამაინც ვერც ამტკიცებს,
მადლობა უფალს.

იკოსი 7

და როცა რომელიმე სიტყვა მიადნევს
გამოხატვის მაქსიმალურ სიღრმეს,
მაშინ სამყარო დაიცვლება მნიშვნელობებისგან
და იქნება დიდი სივრცითი,
სადაც მხოლოდ ეს ერთი სიტყვა ილივილებს,
რომლითაც ყველაფერი აღინიშნება,
განიმარტება და გაისხიპება.

დავარქვით მას ღმერთი,
ცა იქნება ღმერთი,
მზე იქნება ღმერთი,
„დრო“ იქნება ღმერთი,
„მე შენ მიყვარხარ“ იქნება ღმერთი,
„ტომ!.. პასუხი არ არის...“ იქნება ღმერთი,
„რომელი საათია?“ იქნება „ღმერთი?“
„ღმერთი მოკვდა“ იქნება „ღმერთი“,
ღმერთიც იქნება ღმერთი,
და აი, მაშინ ღმერთის სიცილი
გადაფარავს დედამინას,
ქალაქებსა და ტროტუარებს მოედება მისი სიცილი
და სარდაფებს და ქუჩებს დატბორავს მისი სიცილი,
და იქნება დიდი სიცილიდობა,
აუტანელი და ფანტასტიკური სიცილიდობა,
მე ვიტყვოდი,
კისკისდიდობა,
ხარხარდიდობა,
უფრო მეტიც, ხორხორდიდობა.
გაჩერდება მოძრაობები,
შეიქმნება საცობები
და ათასობით მანქანა, როგორც ათასობით ნოეს
კიდობანი,
მოცურდება სიცილი-სიცილი,
მოძრაობა საბოლოოდ გაჩერდება,
და შუქნიშანზე „შევროლედან“ გადმოვა ათასი ნოე,
და ათას ტურტლიან შარვალს აიკაპინებს
და შიგ შუა სიცილიში გატოპავს....

იკოსი 12

ვინ გამოალო ჩვენი სიზმრები?
და სიზმრებში და ღრეჭობებში
ვინ ჩაგვითესა მკაცრი სიფხიზლე?
ვინ ამოზარდა ტროტუარებზე ჩვენი ჩრდილები?
ვინ დათესა სიკვდილი ყველა მოსახვევეში?
ვინა ამოკანრა ნაოჭები ლამაზი დედაჩემის შუბლზე?
ვინ ინვესს სიკვდილს?
რა მიიღწევა სიკვდილით, გარდა დავინყვების?
ეს ყვავილები ვინ ჩამოდო ჩემს საფლავზე?
– ეს გზა აღგვამალღებს? – ვეკითხები.
– ეს გზა აღგვამალღებს, – მპასუხობს ღმერთი.
– დაჯექი, ორიანი, ღმერთო!
არაფერი გაგეგება ამქვეყნისა,
საერთოდ არაფერი.

კონდაკი 12

იდიდოს შენი სახელი, ღმერთო,
რომელმან ღრუბელი წვიმად მოთარგმნე
და ნამი გვაპკურე,
რომელმან შექმენი სამყარო, ძალითა მით ძლიერითა,
როგორც ცნობილია,
და რომელიც იყავ პირველად
და მე ვიტყვოდი, უპირველესად,
რომელმან გამოთქვი ქარიშხალი,
თითქოს იავნანა გამოგეთქვას,
და მივდიოდეთ ჩვენ ამ შუა იავნანაში
დადლილები და აუტანლები
და არ გვეშინოდეს, ვინაიდან შენ აქ ხარ, ღმერთო,
რომელმან სიცილითა სიცილი დათრგუნე,
ჯოჯოხეთი წიხლით შეხსენი
და ცოდვილები სამოთხისკენ კინწისკვრით გაიგდე
(ეგრე უნდათ მაგათ!),
რომელმან სულიწმინდის დესანტი
გადმოსხი ჩვენს მოწყვლად ტანებში
და შეგვიმსუბუქე ამოების მძიმე კურტანი,
რომელმან ელვასავით შეიხსენი სხეული,
წამწამები გამოდე ყოფნასა და არყოფნას შორის,
როგორც უკვდავი მირაბოს ხიდი,
რომელიც გიიომ აპოლინერმა გააუკვდავა,
თორემ, როგორც ხიდი, რასაკვირველია,
დიდიც არაფერი.
რომელმან მოქსოვე ჩემი სიზმრები
შემოდგომის ბალახებისგან
და ბულბულის ბგერებისაგან
რომელმან შექმენი სექსი ლოგინში და
სიკვდილი სომალიში,
თანაც უბრალოდ, სიკვდილი კი არა,
ათასობით ბავშვის სიკვდილი.
რა საჭირო იყო ეს ყველაფერი?
ჩვენ ისედაც გვეჯეროდა შენი.

ქეთი გზირიშვილი

ქუჩის ძაღლები

უბედურები არიან ქუჩის ძაღლები.
მათ არც გამომსარჩლებელი ჰყავთ ვინმე,
ვერც გასაქცევს პოულობენ მარწუხებიდან, –
მოულოდნელად რომ ატყდებოთ ზურგზე.
აი, მე, უმწეო და მხრებჩამოყრილი,
ვზივარ ეკრანთან,
ვკრეფ მარცვლებსა და გულს ვიოხებ.
ეს არის ჩემი შესაძლებლობა
და მაპატიეთ.

მთელი დღე წახდა, ვიცი, ნუთიდან,
ის მანქანა რომ დავინახე.
მანამდე ხმები, განწირული, ძილში მესმოდა.

სამი თუ ოთხი კაცი, ბადით,
მუშის ფერადი ხელთათმანებით
და ბოტებით შემოსილები,
ძიძგილაბდნენ.
მიკეტეს კარი.
ყველაზე მეტად გამაოცა პატარა ბიჭმა,
თოთხმეტოდენ წლის,
იმავე აღჭურვილობით და მეტად ცქციტმა:
– ერთი ამხელა (ხელებს განზე სწევს),
აი, იქ შეძვრა (იშვერს თითს), ვნახო?
აღბათ უთხრეს, რომ ენახა ისიც;
მასზე უფროსმა გადმოიღო თავისი ბადე
და გააბოტა მითითებულ ადგილისაკენ.

მანქანიდან კი, უსასო, აღბათ:
„გასწროს საცოდავმა!“
– შორს გაიქცეო...
ჩემს გულშიც ესა
და ჩავიკეტე აბაზანაში
და ავიფარე ყურებზე ხელი
და მე შემძულდა თავი, რადგან
ვიჯექი ძირს და გულს ვინურავდი.

როგორ უმართლებთ მოქნილ კატებს დედაქალაქში.

ძაღლებო, წადით ქალაქიდან,
ეძიეთ ველი – თავისუფლების.
წადით, ძაღლებო.
აქ მეგობრები
შუბლებს სამიზნედ გაჭერინებენ.



ძახილი(ს ნიშანი)

გოგონა გამოძახებით.
აჰ! ვიცი, რაც იფიქრეთ:
გოგონა მაღალი თეძოებით,
ქუსლები, როგორც რევოლვერები,
მინი, ნითელი ბიუსტპალტერი,
სავსე ტუჩები.
თითი ყვრიმალზე... ყელზე... გულზე –
ხელის კვრა,
ზურგი,
უთვალლობა
და...
ჩემი არა!

მას ეძახიან, როცა თითებში
წყალივით ქრება თავდაჯერება,
მარტოობა კი მათრახს მოიქნევს.
როცა, ჰო, თუნდაც, მოფერება სურთ –
მკერდში ჩაკვრა და თავზე ხელდასმა.
ის ხომ ყოველთვის ახლოა, ანაც გაჩნდება ახლოს,
თუკი უხმობენ.
რაც მთავარია, ის უკვე მოხდა:
მის გულში მოხდენენ.

ავტომობასუხე:
გოგონა გამოძახებით დაილაღა.
გოგონას ვინმეს გამოძახება სჭირდება.

თვალი მოავლეთ თქვენს პარკუჭებს:
გაქვთ მისთვის ბინა?

დღე, რომელსაც არაჩვეულებრივი საათი ჰქონდა,
ამბობს, რომ გასვლის დროა,
და ყოველთვის ვემახსოვრები,
მე კი ამას მოძალებული სითბოთი ვიგრძნობ.

ქუჩის კუთხეში,
ტელეფონების ჯიხურებთან დაყუდებულა.
ურიკაზე, წინ რომ დაუდგამს,
ქრისტეები აქვს დაწყობილი:
პირქვე, პირალმა, გვერდულად;
ერთიც ხელში უჭირავს –
ჯვრები, როგორც შეშის ნაჭრები –
ცივი ოთახების გამოსათბობად –
მათთვის, ვინც ხედავს ცხელ ოხშივარს და
თითებს უშვერს.

– ალო, მისმინეთ. მე ქრისტეს ვყვიდი.

რა უნდა ვუყო ამ ჩიტს,
ჟალუზზე რომ შემომჯდარა.
მოდის ყოველდღე,
ციცქნა ფეხებით ეჭიდება რკინის ბადეს და
ადგილზე ცმუკავს.
ხან მარჯვენა, ხან მარცხენა თვალით მზომავს და წივის.
რალაცას ჰყვება.
მე ვერ გაუშვებ.
ის მაინც მოდის.

საჩუქარი

ბეჭემოტი უყიდეს –
წარინჯისფერი, მეზღვაურის ფორმაში;
ისეთი დიდი, რომ მანქანის სალონში ვერ შეეტილა.
ამიტომ საბარგულით მიაქვთ,
როგორც ქრისტე აღსამართ ჯვარზე:
ზურგზე მწოლი, მაჯვებით რკინის რიკულებზე მიბმული.
იცინის ბეჭემოტი –
ცას უყურებს და
თეთრ კბილებს აჩენს.
მაღე გადმოაბრუნებენ,
ასწვევენ და აჩუქებენ.

იღვა

მეტრო „თავისუფლების“ სადგურში,
შუა დარბაზში,
ჭერიდან გრძელი ჯაჭვია ჩამოშვებული.
ყოველ საღამოს,
მისი დანახვისას,
სიტყვა „სუიციდი“ მახსენდება.
ამას წინათ წარმოვიდგინე გვამი –
დარბაზის ცენტრში მოპორნიალე.
მოვიხიბლე და ფოტოს გადაღება მომიწდა.
სად ვიშოვო გვამი?
ჩამოხსენით, გეთაყვა, ეს ჯაჭვი,
ფანტაზიას მივითარებს:
გვამი (მომავალი) ღამით უნდა დარჩეს,
უჩუმრად,
რომ დილის ცვლას,
სინათლის ანთებისას,
თვალეები გაუფართოვოს.
რა დიდებული სანახაობაა:
ორი კამერით გადასაღები –
ფაქტი და რეაქცია.
ჩამოხსენით.

იღვა პარასკევი საღამო,
ვათვალეებდი გუმბათის ფოტოს,
ვფიქრობდი სანახავ ტაძარზე და მისიონერზე,
ხელისცეცებით რომ სწავლობდა დამრეც რელიეფს,
გუგები კი ბორბალივით უტრიალებდა.

ფერმკრთალი და მშრალი.
ასე მეტად მოსალოდნელია აალება,
ელვის უსწრაფესად გავრცელება
ენის,
სიბნელის –
ვიდრე წვიმას ჩართავენ
მურის ჩამოსარეცხად.

(ოთახი. დგას მაგიდა. შუქი არ არის. მაგიდაზე სანთელი ანთია. დგას დივანი და ორი სავარძელი. კედლებზე ნახატები და ჩიხტიკოპიანი და ულვაშებამკრებილი წინაპრების სურათები კიდია. ერთ-ერთ სავარძელში ორმოცდახუთი-ორმოცდაათი წლის ქალი ზის ფეხმორთხმული. თავზე უზარმაზარი შალი აქვს შემოხვეული, კალთაში თხილით სავსე პარკი უდევს, სამტვრევით ამტვრევს და გამალებით ჭამს. გარედან მუსიკის ხმა შემოდის, რომელსაც დროდადრო სირენის ხმა ახშობს და წითელ-ყვითელი შუქი აღწევს ოთახში).

დედა — აღარ შემოძლია ამდენი ლოდინი... რატომ იქცევა ასე?... რატომ მექცევა?... შუქი მაინც მოვიდეს... სად დადის ამ სიბნელეში?... ღმერთო, შეიძლება გავაფრინო... სიბნელეში დადის, სიბნელეში დადის, სიბნელეში...

(ქალი ისტერიულად ჭამს თხილს. რეკავს ტელეფონი. ქალი სწრაფად იღებს ყურმილს).

— დიახ. არ გახლავთ. უკაცრავად დღეს ხომ არ გინახავთ? (ყურმილი ხელში რჩება, როგორც ჩანს დაკიდეს).

— შენი დედაც ვატირე... რა ვქნა?... ვის დაუფრეკო?... ვის ვთხოვო დახმარება?... (ისმის სროლის ხმა, ქალი წამოხტება, ფანჯარას მივარდება და პატარა ბავშვივით აჭყლებს ცხვირს მიწას. სროლის ხმა მეორდება. ქალი სავარძელში ჯდება, თხილს ამტვრევს და განინმატებული გულწრფელად ამბობს).

— მოკვდეს მაინც, მოკლან მაინც ბოლოსდაბოლოს, აღარ შემოძლია ამდენი ლოდინი. საშინელების და უბედურების მოლოდინი, მოკლავენ და მეცოდინება რომ მოკლეს და ვიტყვებ და დავმარხავ და დავისვენებ. ამდენი გადასარევი ბავშვი ჩანდა მინაში, ეს უსაქმური სალახანა კი დაეთრევა შუალამისას ქუჩა-ქუჩა... დაეთრევა და დაეთრევა და ყველას ნერვებს აგლეჯს...

(რეკავს ტელეფონი).
— დიახ. არ არის სახლში. იცით, თქვენ ხომ არ გინახავთ...

(დაკიდეს).
— მაგას ნორმალური ხომ არავინ დაურეკავს... როდის დავკარგე ეს ბავშვი?... როდის გამექცა ხელიდან?... სად წავიდა ჩემი თბილი, კეთილი და საყვარელი ბიჭი? ჩემი ლამაზი, ჭკვიანი და უმწეო შვილი?

(რეკავს ტელეფონი).
— გისმენთ. შენა ხარ?... რა კარგია, რომ დარეკე...

(შუქი მოდის. ქალი სანთელს სულის შებერვით აქრობს, ხელში თხილის ნაჭურჭები დაუფრთხვება და იმედიანად ლაპარაკობს).

— არა, არ მოზრძანებულა. არ ვიცი. იქნებ, დაელაპარაკო, ძალიან დააკლდი, დამეხმარე, გთხოვ, აღარ შემოძლია, ვეღარ ვიჭერ, შენც ხომ იცი, როგორი დასაჭერია, სად დადის, რას შერება, არავინ იცის. სვამს, გადაკიდებულია ვიღაც კახებს, დღეში ათჯერ რეკავენ. შენთვის არც მითქვამს — ერთი თვის წინ მთელი ღამე შინ არ ეგდო, დილით მომადგა კოჭლობით, მკლავგახვრეტილი, დანა ჩაურტყამთ. რამეს თუ ეტყვი ან კითხავ, იდიოტივით იკრიჭება და რაღაც სისულელეებს ლაპარაკობს. თავის ჭკუით შაყირობს. თან მაგარ ბიჭს თამაშობს, თან მიხარე პატარა ბავშვივით კენესის, გუშინწინ ღამე ისე იგინებოდა ძილში, საწოლიდან თმით გადმოვართიე, თან რატომღაც რუსულად, საშინელ სიტყვებს ამბობდა, ეგვეც გაიტანჯა, ხომ ხედავ, გარეთ რა ხდება...

(პაუზა. ქალი მოულოდნელად კივის).
— რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია, რომ მითხარი და რა მითხარი... რაც შვილი გყავს, შენც ის იყავი და მაგიტომაც გაგშორდი. ერთმანეთისთვის აღარაფერი გაქვთ სათქმელი და ჩემგან რა გინდათ? ჩაკლავენ სადმე და მერე გაიგებ... შენ თვითონ შენი დედა და საერთოდ, თუ ეგრე გიყვარს ეს შენი შვილი, წაიყვანე და გაყავდეს, გამანებეთ მე თავი...

(ყურმილს ახეთქებს).
— ბიჭოს!..

(კარზე კაკუნის ისმის, ქალს თვალები უფართოდდება).
— მოვიდა... მოზრძანდა...

(თავიდან შალს იძრობს და კარისკენ გარბის).
— მოეთრა... ახლა ვაჩვენებ სეირს.

(კართან უცებ ჩერდება, თითქოს გულ-მა ცუდი უგრძნო. ჩუმად კითხულობს).
— ვინ არის?

(კარს იქიდან წერილი, გატანჯული ხმა ისმის).

— ერთი წუთით!.. დამეხმარეთ, თუ შეიძლება დამეხმარეთ... ღმერთმა დაგლოცოთ!

(ქალი ცივად ბრუნდება, ჩუმად ჯდება, მერე ისევ წამოხტება, ხურდის ძებნას იწყებს, პოულობს და კარისკენ გარბის, მაგრამ იქ აღარავინ ხვდება. ქალი მიტოვებული ბავშვივით აბუზული ბრუნდება, შუქი ისევ ქრება, ისევ შემოდის მუსიკის და სირენების ხმა, ლურჯ-წითელ შუქზე ქალი დაბორილობს, ასანთს ეძებს, რომ სანთელი აანთოს. პოულობს. ანთებს. ჩუმად ზის, ისევ თხილის მტვრევას იწყებს. გარინდებული მექანიკურად ამტვრევს. ტელეფონი რეკავს).

— დიახ, გისმენთ... ვინ გნებავთ?... გიო?... იცით რა, მეც ძალიან მინდა, რომ იყოს, მაგრამ არ არის. აი ასე, არ არის და არ ვიცი, როდის იქნება, ან იქნება თუ არა როდესმე. შეიძლება საერთოდ აღარ დაბრუნდეს, აღარასოდეს დააკაკუნოს კარზე, მაგისი მოსვლაც კი ყოველთვის წასვლასა ჰგავს...



ბექა ქურხული

სიბნელე სხვის ფანჯრებში

არ ვიცი... არაფერი ვიცი... კარგად ბრძანდებოდეთ.

(კარზე კაკუნის ისმის. შუქი მოდის. ქალი მშვიდად დგება. მშვიდად ალებს კარს. არც კითხულობს „ვინ არისო.“ შემოდის გიო).

გიო — როგორა ხარ, დე?..
დედა — სად ბრძანდებოდი?... რას დაძრწინხარ ამ შუალამისას?..

გიო — რა შუალამე, ცხრა საათია...
დედა — რა ცხრა საათია...

გიო — აგე, ჰო, კაი, ათის ნახევარია. სად შუა ღამე, რა შუა ღამე...

დედა — რატომ არ დამირეკე?... რა დაგემართა, გამაგებინე, რამ გაგასასტიკა ასე, გარეთ სროლაა, უბედურება, შუქი არ არის, გული აღარა მაქვს, რა გინდა, მოვეკვდე?..

გიო — ყურმილს იღებ რო?... ყურმილის დადებას ისწავლე?... გავსკედი რეკებ, სუ დაკავება და დაკავება...
დედა — ვინც კი პატრონს დაეკარგა, ყველამ აქ დარეკა, მარტო შენთვის იყო დაკავებული?... სად ეგდე?..

გიო — ქეთისთან. ვიფიქრე დავრჩები-მეთქი და რომ ვერ დავრეკე, გამოვვიდი, რომ გაგაფრთხილო. უნდა გავბრუნდე, ბავშვებმა რაღაც ფილმი მოიტანეს...

დედა — მოიცადე, სად მიდიხარ?..
გიო — ჰო, რა. ფილმი მოიტანეს. ვუყურებ. არ ინერვიულო, ფული მაქვს. მანქანას დავითრევე და იქა ვარ...

დედა (ხმას უწევს) — რა მანქანას დაითრევე, სად მიდიხარ ამ ჯოჯოხეთში, აღარ შემოძლია, არ გეცოდები?..
გიო — ფილმს ვუყურებ...
დედა (ირონიული) — რომელ ფილმს ვუყურებ?... როდის იყო, ფილმებს ნახულობდი?... ან საერთოდ რამე განიტერესებდა?... ჰო, ფილმს ვუყურებ, გამოფენებზე ივლი, სპექტაკლს არ გამოტოვებ, ბეთჰოვენს მოუსმენ... ნახვად, გასკდები... იმ გოგოს მაინც რას ერჩი?..

გიო — მშია... საჭმელი არ არი?... მართლა, ბათინი გამერღვა, წყალი შეუვიდა. უნდა გავკერო. (ოთახში დადის. რაღაცას ეძებს...) დედა მშია...

დედა — სადაც იყავი იქ ჭამე...
გიო (გაკვირვებით) — სადა, ტო... ნემსები სად არის?... დიდი ნემსი მინდა, აი, ისა... მახათია...

დედა — ერთადერთი, რაც შენ მართლა გჭირდება, მახათია...

გიო — უნდა დავაკერო (ხვდება და სიცილი უფარდება) მაღაღეც!.. ჩაგეთვალა. ნახე რა, მართლა. დედა, მშია...

დედა — სად მიდიხარ ამ სიცივეში. ყინავს. დარჩი რა, გთხოვ... (გიო ნემსს და ძაფს იღებს, იატაკზე ფეხებგაშლილი ჯდება, ზურგით მაგიდას ეყრდნობა და ბათინკს აკერებს) საშინლად ცივა. იყინება ყველაფერი. სად მიდიხარ? ხვალ ნადი.

გიო — ხვალაც ეცივება...
დედა — სად მიდიხარ, სად?
გიო — ქეთისთან.

დედა — სად მიდიხარ? მართლა აღარ შემოძლია მეტის ატანა, სად მიდიხარ, სად?..
გიო — ვაა... სხვაგან, სხვაგან მივდივარ. შორს...

დედა — არ გიშველის. თვითონაც იცი, რომ არ გიშველის. სულელი ნამდვილად არა ხარ. წასვლა გამოსავალი არ არის. შენ რაც გჭირს, თქვენ ყველას რაც გჭირთ, იმას აქეთ-იქით სირბილი არ უშველის. როდემდე უნდა მანერვიულო ტყუილად?... აბა, შენი შვილი მიდიოდეს

ავდექით და გავბოროტდით. ზოგი გამოქლიავდა, ზოგი გაბოროტდა. და საერთოდ არავის აღარ ენალვლება ეს ჩვენი ბარაქიანი სამშობლო, რომელიც დარსების დღიდან ამ წუთამდე საკუთარი შვილების სისხლში დგას ყელამდე და მოხუცი უდრეკი და უკვდავი ტირანივით ყოველდღე ავტომატის ჯერს ადევნებენ. ღირსია!.. ეგეთ სამშობლოს უნდა ესროლო, თვითონ რო გვესვრის, კარგია? რა არ გვესვრის?... დაგვაფაცხავა! სამშობლო რომ ჯერ კისელს დაგაღვივებს და მერე ტყვიას გესვრის — თან მოგთხოვს, თავი შემომწინეო, იმ სამშობლოს ნამუსი აქვს, ტო?... (ისევ ისმის სროლის ხმა). ჰა, აი... „მე მინდა ჩემი საქართველო, ჩემი სამშობლო“...

დედა — ხომ გეხვენე, გერმანიაში ნადიმეთქი?... ხომ გაგიკეთე ყველაფერი? რატომ არ ნახვედი?... რატომ დარჩი აქ?... იმიტომ, რომ...

გიო — იქ რა დამკარგვია? გერმანიაში და ფირმაში, ჭკვიანი და ნორმალური ბავშვები წავიდნენ, მე სად უნდა წავსულიყავი? რატომ? იმიტომ, რომ არც სახლში დამაყ-

შუალამისას...
გიო — რას ნერვიულობ, ქეთისთან მივდივარ, ტელეფონი იცი, მივალ თუ არა დაგირეკავ... ოღონდ ყურმილი აიღე...

დედა — ვიდრე მიხვალ მანამდე რა ვქნა?... ხომ ხედავ, იქცევა ქვეყანა...
გიო — ძან კარგსაც შევბა...

დედა — ან იმ ქეთის რას გადაეკიდე, ცოდო არ არის ის ბავშვი?... თუ არ გიყვარს, რას დადიხარ, თუ გიყვარს, ასე რატომ ექცევი?... მოიყვანე ცოლად. მშვენიერი გოგოა...

გიო — ცოლად არა ისა...
დედა (უცნაური დაუფარავი სიძულვილით) — როგორ გავზარდე ასეთი ცხოველი?..
გიო — ვაა რა გინდა ტო?..
დედა — კარგი, თუ მიდიხარ ნადი, დროზე მაინც გადი, რას გადაეკიდე ამ იდიოტურ ბათინკებს, ჩაიცვი სხვა რამე. გესმის?... მეტი აღარ შემოძლია...

გიო — კარგი რა, დამანებე თავი. რა გინდა, ტო?... (ისევ ისმის სროლის ხმა. ისევ აღწევს ოთახამდე წითელ-ყვითელი შუქი. სირენის ხმა. სროლა მეორდება. გიო სროლის ხმას ხელის აწევით ესალმება). ჰო, ჰო, აქ ვართ...
დედა (წელანდელი წყნარი დაუფარავი სიძულვილით) — როდის გაცხოველდი ასე?... რამე იცი?... ვინმე გეფარდება?... ან შენი მშობლები, ან შენი დაქცეული ქვეყანა, ან შენი მეგობრები ან შენი დაღუპული თავი?... ვინმეზე ფიქრობ?... რა დაგემართა, გამაგებინე, როდის გაცხოველდი ასე, როდის?..
გიო — „პრიუტი“ რომ ჩამაბარეთ მაშინ. დამტოვეთ ხოტორა, ცინგლიან და მურიან ბავშვებთან, ბრაზიან, მსუქან და გრძელცხვირა იმეებთან, რა ჰქვიათ, „პრიუტი“ რომ ბავშვებს უვლიან?... ჰო, აღმზრდელებთან, რომლებიც სარეცხის ქვაბში მოხარშულ ბორძის გვაჭმევდნენ, ლენინზე გვამღერებდნენ „ლენინს უყვარდა ბავშვები“... ყველაფერს გვატყუებდნენ. გვატყუებდნენ წყნარად, მშვიდად, უბრალოდ და დაუნდობლად. „ძედ მაროზი“ და „სნეგუროჩკაც“ გვატყუებდნენ. მოჰქონდათ ყოველ ახალ წელს განებილი, მანეთიანი კამფეტები და ხომიანად გვაბითურებდნენ. ყოველ დღე სამიწელ კისელს გვასამევენდნენ. ჩვენც

ენთ და არც ქვეყანაში?... ესენი წავიდნენ ტო, ესენი ყველანი, ეს ჩვენი ქვეყანაა და არა ამ მართლა გამოქლიავებულების. მე წავიდე და ვეგდო გერმანიაში, სადაც ცა ზაფხულშიც კი მანონივით ადევთ თავზე, ვისწავლო მაგათი უმლაუტებიანი ენა, მერე იქ ვიყფო: „Wo ist der Bahnhof in diesem Stadt?“ და „ჩუს, ჩუს“ და „Cool“ ვიძახო, ვითომ მეც თქვენი ვარო ხო?... და ამით ჩემი ხომიანი ქვეყანა დაუშტოვო, სადაც ყველაფერი მესმის, ყველაფერი გასაგებია, ცუდი და გაუგებარიც კი... ყველაფერი ჩემია, როგორც მყინვარწვერი კავკასიის და სხვაგან ვერასოდეს ვერ გადადგამ. იცი, როდის ავდგი, როდის დავჯდე. როდის უნდა დაფრეკო და როდის უნდა დამირეკონ, ჩვენ წავიდე და ესენი დარჩნენ, ჩხორონყუ რო გურიამი ჰგონიან და დმანისი და დმენისი და დუშეთი და თუშეთი ერთმანეთში ერევათ?... რატო, ტო?..
დედა — გაგეკეთებინა იქ რამე, ჩამოსულიყავი და გამოსდგომოდი შენს გაუბედურებულ ქვეყანას თუ ეგრე შეგტყავა გული...

გიო — არაფერიც აღარ შემტყავა, ტო, დავიღალე... რაც არი, ეს არი... უბრალოდ, მე და ეს ქვეყანა ერთმანეთისთვის ვართ და მორჩა... ვგავართ კიდეც ერთმანეთს, არ შეგიმჩნევია?..
დედა (გაკვირვებით) — არა...
გიო — ვგავართ, ვგავართ... და არსად წავლა. არ მინდა და იმიტო...

დედა (გალიზიანებით) — კაი, ბატონო, ეგდე აქ და იყბედე, იყბედე ურთიერთგამომრიცხავი სისულელეები, თან ისეთი სახით, თითქოს რაიმე საინტერესოს და ახალს ამბობდე. კიდეც კარგი, ყბედობას მაინც არ სჭირდება შრომა, თორემ დამუნჯდებოდი და ერთი ღირსება მაინც გექნებოდა — ჩუმად ყოფნას ისწავლიდი. წავთრე და ახლა იმ გოგოს გამოუტყედე ყურები შენი საფირმო იდიოტობებით, ყველაფერი სხვებს გადააბრალე — სამშობლოს, მე, მამაშენს, საკუთარ თავს არაფერი მოჰქითხო, არაფერი ისწავლო, ვერაფერი გააწყლო, დასკვნები არ გააკეთო. რა გინდა?... რას აკეთებ?... რა არის შენი საქმე?

გიო — ყბედობა.
დედა — ნადი შენი... ნადი რა, ნადი თუ მიდიხარ, ასე ცუდად არასოდეს ვყოფილვარ, ასეთი სასონარკვეთილი. ნადი რა, ნადი!

ანა კორძაია-სამადაშვილი

ეს ავტორი ჩვენს თვალწინ დაიბადა, რაც მოულოდნელი არ ყოფილა. ანა კორძაია-სამადაშვილი წერის თავისებური, ორიგინალური სტილით ყოველთვის ტოვებს გაცნობას, რომ საგაზეთო სტატიებზე მეტისთვის იყო მონოდებული. და მართლაც, გაჩნდა მწერალი სოფიო კირვალიძე, რომელმაც ქართულ ლიტერატურაში ახალი სუნთქვა შემოიტანა. მისი მოთხრობების პირველი კრებული — „ბერიკაობა“ 2003 წელს პრემია „საბათი“ აღინიშნა. ამას მოჰყვა „მე, მარგარიტა“, რომელშიც ავტორი თხრობის ლალი, უშუალო მანერით მისთვის საყვარელი ამბების მოყოლას განაგრძობდა. რამდენიმე თვის წინ ახალი წიგნი გამოქვამა, ამჯერად რომანი — „შუშანიკის შვილები“, რომელმაც არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. უცნაურია, მაგრამ უცნაურობა სიტყვებთან ერთად ავტორს ქართული ლირებულებების შერყვანაში ადანაშაულებდნენ, არადა, ანას შუშანიკი ერთი თბილისური ლეგენდის უბედური გმირია, რომელიც „სულელებს აჩენს და თბილისის ოკრობოკრო ქუჩებში უშვებს...“ ბუნებრივია, ჩვენი საუბარიც ამ თემით დაიწყო.

რატომ გაგიჩნდა ამ წიგნის დანერგვის სურვილი და რა იყო წინაპირობა?

მინდოდა დამენერა თბილისური ზღაპარი. ძალიან მიყვარს ეს ქალაქი. ხომ პრიმიტიულად უღერს, მაგრამ ასეა. სამშობლოს განცდა ყველას თავისი აქვს. ჩემთვის სამშობლო თბილისი აღმოჩნდა. როგორც ჩანს, ეთნოსი არ გამაჩნია. უფრო თბილისელი ვარ, ვიდრე რამე სხვა — თბილისური ზღაპრები მიყვარს, თბილისური ლეგენდები. მათგან ცნობილი მხოლოდ ერთია — ხობის ლეგენდა, არადა, უთვალავია. ზღაპრებით გამოტენილი ქალაქი გვაქვს. ერთ-ერთი ასეთი ისტორია ამოვიკითხე ალასი აივაზიანის წიგნში — „თბილისის გზამკვლევი“, ლეგენდა შუშანიკისა და მისი შვილების შესახებ, რომელიც ამ რომანში გამოვიყენე. ეს თემა და თავად ლეგენდაც ჩემს გონებაში უცნაურად დიდხანს იხარებოდა, გამუდმებით თან მდევდა, თითქოს შუშანიკის გრძელ თმაში ვიყავი გახვეული. ბოლოს ვიფიქრე, არ იქნებოდა ურიგო, თუ დავწერდი თბილისურ ზღაპარს, რომელიც, რა მნიშვნელობა აქვს, როდის იყო.

რამდენად ვიცით, ტექსტის თავდაპირველი ვერსია დაკარგე?

ასეთი რამ ძირითადად საკუთარი დაუდევრობით მემართება, ამ შემთხვევაში კი კომპიუტერი გარდაიცვალა. აი ისე, შინმოუსვლელად რომ კვდება ხოლმე. გადავირიე, მაგრამ მერე ვიფიქრე, რა მოხდა, მეც ახლა „დონ კიხოტი“ დაკარგე-მეთქი. თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ მივხვდი, რომ მთლად ასე მარტივადაც არაა საქმე და ეს ტექსტი უნდა დავამთავრო. პირველი ვარიანტი გაცვილებით ვრცელი იყო და სხვანაირი. მერე მივხვდი, რომ დიდი მოცულობა სულაც არ მჭირდებოდა და დაიწყო მუშაობა. წელიწადნახევრის პაუზის შემდეგ ამ ტექსტის აღდგენა ადვილი არ იყო. დამრჩა მხოლოდ დასაწყისი და ფინალი, რომელიც მეგობრებთან მქონდა გადაგზავნილი. რალაცები მახსოვდა, მაგრამ ეს ვარიანტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ზოგადად, მიმართა, რომ ყველაზე კარგი ტექსტია, რაც აქამდე დამინერია.

ვინ არიან შუშანიკის შვილები?

შუშანიკის შვილებს თითოეული ჩვენგანი იცნობს. ჩვენს გვერდით დადის, ჩვენს თვალწინ ცხოვრობენ, მაგრამ ვერ ვამჩნევთ. მათ არაფერი უნდა ჰქონოთ, რადგან ნორმალურ პასუხს მაინც ვერ მიიღებ, არ არიან ამისთვის მონოდებული. იცი, როგორები არიან? ძალიან ადვილად რომ მიატოვებ, მაგრამ მერე არასოდეს

დაგავიწყდება. მათ არავინ აღიქვამს სერიოზულად. არის, რა — ამბობენ ასეთებზე. შუშანიკის შვილი პრობლემას არ გიქმნის. ჭამას არ ითხოვს, ნერვებს არ გიშლის, თავისთვისაა. არც ტრაგიკულია, უფრო — მხიარული. თავისთავად, სასაცილოა და იდიოტი, მაგრამ უაღრესად სიმპათიური ტიპია. შუშანიკის შვილები არავის უყვარს. მათზე შეყვარებული ადამიანი არ არსებობს. ლეგენდის ერთ-ერთი ვერსიით, შუ-



შანიკის შვილი არ კვდება და უგზოუკვლოდ დაბოროტდება თბილისში. ეს მისი ტრაგედიაა. ერთადერთი შანსი, ეშველოს და გარდაიცვალოს არის ის, რომ ორი ადამიანი შეახვედროს ერთმანეთს.

ამიტომ ხვდებიან ნიკო და მართა?

არასოდეს არავინ ფიქრობს, ვინ არიან ნიკო და მართა. ერთი იმედგადასურული ქალია, „პრამანდოვკაა“ ეს ჩვენი მართა, ნიკო კიდევ გეია. მათი ხორციელი სიყვარული პრაქტიკულად შეუძლებელია, უბრალოდ, ორმა ადამიანმა ერთმანეთი იპოვა. ყოველთვის მინდოდა ვინმესთვის მეამბოურსულა ლეგენდის რომანის, „წყვილიანის მარცხენა ხელის“ შესახებ. იქ არის პლანეტა „ზამთარი“, სადაც განვითარებული ცივილიზაციის წარმომადგენლები ცხოვრობენ. მათ ერთი „ნაკლი“ აქვთ — უსქესოები არიან მანამ, სანამ ორი ადამიანი ერთმანეთს არ იპოვის, ამიტომ დედამინიდან ჩასული არაჩვეულებრივი მამაკაცი პერვერტად მიჩნეა. ვერ ხვდებიან, რატომ არის ეს არსება მუდმივად კაცი, ქალი ხომ არ ჰყავს? სწორედ ამდგავარი რამ ხდება ჩემს წიგნშიც, ორი ადამიანის უთავბოლო სიყვარულის ამბავია მოთხრობილი და ჩემი ჭკუით დავინდე, როცა ფინალში ორივე მოვკალი. რა საჭირო იყო, გაეკოთ, რომ ერთი მოკვდა და მეორე ცოცხალია? ან რა უნდა ეკეთებინათ უერთმანეთოდ?

შო, ფინალი ცოტა სევდიანია.

მეორეს მხრივ, ჰეფი ენდია. წარმოიდგინე, რა პერსპექტივა აქვს დაბერებულ მართას? დასაწყისშივე ვთქვი, მისი ბოლო ბოთლების შეგროვება-მეთქი, ნიკოს კი მოხუცთა თავშესაფარი ემუქრება, ამიტომ, ვაცადოთ, სანამ რალაც შეუძლიათ და უხარიათ, თუნდაც ბიგ-ბენის ზარების ქვეშ დიდი სექსის კეთება.

რადგან „დიდ სექსზე“ ჩამოვარდა ლაპარაკი, აუცილებლად მინდა შევეხოთ თემას, რომელიც შენს შემოქმედებასთან დაკავშირებით მავანთ გარკვეულ უხერხულობას უქმნის. ე.წ. „უცნაურობა“ სიტყვები, რომელთაც სხვა ტექსტებშიც მეტნაკლებად იყენებ, აქ უფრო დიდი დოზით გვხვდება. ამაზე მკითხველს არაერთგვაროვანი რეაქცია აქვს. ბევრს უკვირს, რატომ უჩნდება ქალს ასეთი სიტყვებით წერის სურვილი?

— რაც მესმის, იმას ვწერ. მუდამ მქონდა ერთი პრობლემა — არასდროს არ გამოდიოდა მამაკაცის დიალოგი, ამიტომ ვწერდი იმას, რაც მათი საუბრიდან ციტატის დონეზე მამახსოვრდებოდა. ამ ტექსტშიც ასეა — არცერთი დიალოგი არ არის გამოგონილი, ყველაფერი რეალურია. შეიძლება ბევრ რამეზე მომედავონ, მაგრამ ვერაფერს იტყვი, რომ მართას და ნიკოს დამაჯერებლობა აკლიათ. ეს სწორედ მათი მეტყველების დამახსოვრებაა. სხვაგვარად არავინ დაიჯერებდა, რომ ცოცხლები არიან. წარმოიდგინეთ ქალი უსწორმასწორო კბილებით, რომლებიც სიცოცხლეში არ სტკეპნიან. ეს განცდა მისთვის თმის ტკივილთან ასოცირდება. ასეთი იდიოტკაა და სხვანაირად როგორ ილაპარაკებს? მე არავის ვედავებ, უბრალოდ, მიკვირს — სად ცხოვრობენ ეს ადამიანები? თუ გინება მხოლოდ ქალის პირიდანაა დაუშვებელი? მე ქუჩაში არ ვბილწისიტყვობ, არც ჩემი პერსონაჟები: დავითი არ იგინება, თამარს პირიდან ცუდი სიტყვა არ ამოსდის, მაგრამ მეზობელი, ბოზანკალი იანა ისე ლაპარაკობს, როგორც ცხოვრობს და ეს ბუნებრივია.

შუშანიკის შვილები არავის უყვარს

როგორ შეიძლება, ოპერის მომღერალი და მხესუმზირის გამყიდველი ერთნაირად მეტყველებდნენ?

სალიტერატურო ენა ირყვება — ასე ფიქრობენ ისინი, ვისთვისაც შენი პერსონაჟების ენა მიუღებელია.

— არა მგონია, ჩარლზ ბუკოვსკი ნაკლები მწერალი იყოს, ვიდრე კონსტანტინე გამსახურდია და „სანმერთულს“ ვიტყვი თუ „ნიფხავს“, უკვე ჩემი არჩევანია.

გალიზანებს კრიტიკულად განწყობილი ადამიანების მოსმენა?

— როდესაც აკრიტიკებენ ტექსტს, ბედნიერი ვარ. ეს მაძლევს ბიძგს, რომ განვივითარდე, რალაც ვისწავლო, მაგრამ მეორე ამბავია, როდესაც პიროვნულ კრიტიკაზე გადადიან. აქ უკვე ვებრაზობ, რადგან ვერ ვხვდები, რა კავშირი აქვს ჩემს გარეგნულ მონაცემებს ან ჩაცმის სტილს „შუშანიკის შვილებთან“. ჩვენი პრობლემა ისაა, რომ ხშირად ავტორს მის ნაწერებთან ვაიგივებთ ან ისე ვაკრიტიკებთ, რომ ტექსტი ნაკითხულიც არ გვაქვს. სხვა რა უნდა ვიფიქრო, როდესაც ქართულთა სულეირი ფასეულობების შერყვანაში მადანაშაულებენ. როგორ უნდა ავუხსნა ადამიანს, რომელსაც წიგნი არ ნაუკითხავს, რომ წმინდა შუშანიკი ამ რომანის გმირთან არაფერ კავშირშია და მხოლოდ სახელი აქვთ საერთო. ჩემი ბრალია, რომ ლეგენდის გმირსაც შუშანიკი ჰქვია?!

იმ ადამიანებისთვის ვისაუბროთ, ვინც შენს ნაწერებს კითხულობს და უყვარს. მათთვის ანა კორძაია-სამადაშვილის მოთხრობები ისეთი ლიტერატურაა, რომელსაც სიამოვნება მოაქვს. ბევრისგან მსმენია, რომ შენი ტექსტების კითხვისას შენი ხმა, შენი საუბარი ესმით. ეს ადვილი მისაღწევია?

— ძალიან ადვილია. თავის დროზე მალხაზ ხარბედიამ სტატია დაწერა, სადაც თქვა, რომ ეს ყველაზე დიდი კატასტროფაა ჩემთვის. როგორც ვლაპარაკობ, ისე ვწერ, რაც საშინელებაა. რატომ შეცვალე „შუშანიკის შვილებში“ ფორმა? იმიტომ, რომ მივხვდი — გავიჭედე. ყოველთვის ვერიდებოდი დიალოგს, მემინდოდა ამ ფორმის, მაგრამ ახლა ამ შიშს გადავაბიჯე. არაჩვეულებრივი რედაქტორი მყავდა — მამუკა ლეკიაშვილი, რომელმაც მითხრა, შენი ხმა ტექსტში

გაუსაძლისიაო და აბსოლუტურად მართალი იყო, რადგან არ შეიძლება, სულ ანა კორძაიას ძახილი გესმოდეს ყურში.

შო, მაგრამ მკითხველს უყვარს მოთხრობები, სადაც ეს ხმა ისმის.

— მეც მიყვარს, მაგრამ ეს განვლილი ეტაპია. ახლა ვცდილობ, დავწერო ტექსტები, სადაც მკითხველი ჩემს ხმასთან ერთად სხვა ხმასაც გაიგებს. ძალიან მნიშვნელოვანია, ჩემი შეფასება არ მოვახვიო თავს და თავად გადაწყვიტოს, მოსწონს თუ არა კონკრეტული პერსონაჟი. რამდენიმე ასეთი მოთხრობა უკვე დამიგროვდა, თუმცა კრებულის გამოცემას ჯერ არ ვაპირებ.

ახლა რაზე მუშაობ?

— გაგიკვირდებათ და ვწერ დეტექტივს, რომელსაც სრულიად უცნაურად „გადავეყარე“ — ერთ მშვენიერ დღეს გამომალვიდა ჩემი მეგობრის არანორმალურმა ყვირილმა, რომელსაც ეგონა, რომ მოვკვდი. ეტყობა, ძილში ბალიში გამისრიალდა, თავი გადამივარდა და ძალიან ცუდი დასანახი ვიყავი. უცებ წარმოვიდგინე, რას ვიზამდი, გამომძიებელი რომ ვყოფილიყავი. რასაკვირველია, იმავე წუთს დავაპატიმრებდი, რადგან აბსოლუტურად ყველაფერი მის წინააღმდეგ მეტყველებდა. აქედან ნამოვიდა იდეა. სხვათა შორის, ჩემთვის ეს ჟანრი ძალიან საინტერესოა, უცხოა და ბევრ რამეს ვსწავლობ. ვფიქრობ, დეკემბრის ბოლოს მზად მექნება.

დიდი ზომის ტექსტი რთული ხომ არ აღმოჩნდა შენთვის?

— პირიქით, მოთხრობაში უფრო რთულია ლავირება: ან წიხლით ტენი სათქმელს, ან გგონია, რომ ყველაფერი თქვი და ვერაფერს ვერაფერი გაიგო. ამ ბოლო დროს რამდენიმე პატარა მოთხრობა დავწერე. ერთ-ერთზე ჩემს მეგობრებს იმდენად განსხვავებული რეაქცია ჰქონდათ, მივხვდი, რომ გამომივიდა. გვერდნახევრიანი ამბავია ქალზე, რომელიც წავიდა და გაქრა. ზოგიერთმა ამ ტექსტზე ძალიან იმხიარულა, ზოგი დაინტერესდა, სად წავიდა ეს ადამიანი, ზოგმა კი თქვა, რომ უბრალოდ, იდიოტია. დარწმუნებული ვარ, მარიეტა რომანში რომ მყოლოდა, უფრო დიდი ყაყანი ატყდებოდა. დიდი ნაწარმოების წერა ძალიან საინტერესოა. პატარა უცებ მოდის, რალაცნაირად შეგიხიციებს და ისევ მიდის.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ქალმა ავტორებმა მნიშვნელოვანი სიტყვა თქვეს ქართულ ლიტერატურაში, ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ქალი, როგორც მოქმედი, სუბიექტი, ქართულ მწერლობაში ნაკლებად ჩანს, პროზაში უფრო ისმის მისი ხმაო. შენც ასე ფიქრობ?

— ცხოვრებაში არ დამინერია ლექსი, ამიტომ პოეზიის ჩემი შეფასება მაზალოა, თავს ამის უფლებას არ ვაძლევ. პროზას რაც შეეხება, მე მგონი, პირიქით — ძალიან ყოჩაღად მუშაობენ ქალები და მომწონს ეს ფაქტი, თანაც, სრულიად განსხვავებული არიან. თუკი მამაკაცთა ნაწერში რალაცა სკოლაზე შეიძლება ვილაპარაკოთ, აქ არანაირი სკოლა არ არის — ყველა ქალი თავისა მთავრდება და მგონი, გემრიელადაც მიერეკება. თანამედროვენი არიან მაკა მიქელაძე და თამთა მელაშვილი — სრულიად განსხვავებული ავტორები და ორივე ძალიან საინტერესო. რაც შეეხება ქალის პასიურობას პროზაში, ჩემს მოთხრობებზე ამას ვერ ვიტყვი — ყველგან ქალები ფიგურირებენ მარტივი მიზეზის გამო — ქალზე ვიცნობ, კაცებს — არა, შესაბამისად, არც ის ვიცი, კაცის თავში რა იხარებება. რა თქმა უნდა, ყველაფერს ქალის თვალთ ვუყურებ და სულაც არ მიმართა შეურაცხყოფლად ქალის მწერლობა.

რალა დროს ამაზე ლაპარაკია, არა მგონია ამ საკითხს ვინმე სერიოზულად განიხილავდეს.

— კი, მაგრამ თუ ისე უცნაურობა სიტყვებს დავუბრუნდებით, გინახავთ, მამაკაცი ასეთი ტერმინოლოგიისთვის გაეკრიტიკებინოთ? ქალის შემთხვევაში კი გიჟდებიან და კედლებზე გადიან, თუმცა ეს მე არ მალიზიანებს.

ერთი კარგი მოთხრობა გვაქვს, „რიტუალები“, სადაც ამ მოვლენის არსზე საუბრობ და არაერთ საინტერესო დეტალსაც იხსენებ. წერასთან დაკავშირებული რიტუალები თუ გვაქვს?

დასასრული მე-14 გვერდზე



აკითხვები

კოტე გაბაშვილი

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იტალიაში კოტე გაბაშვილი შევხვდებით თბილისში ატარებს. მისთვის ეს საუკეთესო დროა ახალი ქართული გამოცემების წასაკითხად, თანამედროვე ავტორების უკეთ გასაცნობად. ახლად შექმნილი თუ ნაჩუქარი ნივთები ბატონი კოტეს სამუშაო მაგიდაზე დევს და მკითხველს ელოდება. საოჯახო ბიბლიოთეკა კი ძველი გამოცემებითაა სავსე. ერთ-ერთ თაროზე ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტის — დიდი გერმანელი ენათმეცნიერის, ფილოსოფოსის, სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის ფოტოსურათია გამოდებული. იქვეა მისი ნივთები. ბატონი კოტე მას სულიერ მასწავლებელს უწოდებს და ეს არცაა გასაკვირი. მისი ბიოგრაფია მდიდარია სამეცნიერო საქმიანობაში წინსვლითა და დიპლომატიურ სფეროში წარმატებებით. ამ გზაზე კი არაერთი დიდი მოაზროვნისა და მოღვაწის „მეგზურობა“ დასჭირდებოდა.

— ბატონო კოტე, განათლებით ფილოლოგი ბრძანდებით და ვფიქრობ, თქვენი პროფესიული არჩევანი მნიშვნელოვანწილად ლიტერატურისადმი დამოკიდებულებამ განაპირობა.

— ნიგნთან დაკავშირებული ჩემი ბავშვობისდროინდელი მოგონებები ძალიან არატიპიურია. დღევანდელი თბილისის უნდა წარმოიდგინოთ, რომ ჩვენს დროს ნიგნის გარდა თავშესაქცევი თუ გასართობი არაფერი არსებობდა. კინოთი დიდად არ ვინტერესდებოდი (მაღალი რანგის ფილმები კინოთეატრებში იშვიათად გამოდიოდა), ტელევიზია არ არსებობდა, რადიო კი საბჭოთა პროპაგანდის ძირითადი საშუალება იყო. უფრო ხშირად ხალხური და კლასიკური მუსიკა გადმოიცემოდა, ზოგჯერ ლიტერატურულ კითხვასაც უთმობდნენ ეთერს. მახსოვს, ჯანი როდარის რამდენიმე კარგი ზღაპარი სწორედ რადიოთი მოვისმინე. აქედან გამომდინარე, ნიგნთან ადრეული ასაკიდან დავემეგობრდი. კითხვა არ ვიცოდი, მაგრამ ნიგნში ცქერა და მისი ფურცვლა მიყვარდა. ზეპირად ვიცოდი ყველა ის ზღაპარი თუ ლექსი, რომელსაც უფროსები მიკითხავდნენ. ალბათ, ნიგნთან ურთიერთობის მომეტებული სურვილის გამო ნერა-კითხვა სკოლაში შესვლამდე ვისწავლე. ქართული თემა, რომელიც მისაღებ გამოცდაზე დავეწერე, ასე იწყებოდა: „პირველი ნაწარმოები, რომელიც წავიკითხე, იყო მოპირდაპირე სახლის სახურავზე განთავსებული ნეონის რეკლამა: „დალიეთ ქართული ჩაი“. ნაწერი ქალბატონმა მზექალა მანინემ გაასწორა და მანვე წლების შემდეგ გამახსენა ჩემი ხუმრობა.

და როცა ანბანს სრულად დავეუფლე, დაიწყო მართლაც საოცარი ცხოვრება, რომელსაც მკითხველის ცხოვრება ჰქვია. თუმცა ეს ნიგნის მიმართ ჩემს განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე როდი მიუთითებს, მაშინ თითქმის ყველა ბავშვი ასე ცხოვრობდა.

— ნორჩი მკითხველის ბიბლიოთეკა ალბათ ძირითადად სათავგადასავლო ნაწარმოებებისგან შედგებოდა.

— როგორც გითხარით, კითხვა ადრე დაიწყო და ძალიან სწრაფადაც ვკითხულობდი. შემეძლო სქელტანიანი ნიგნი ერთ დღეში წამეკითხა. დიდი ინტერესით ვენაფებოდი საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურას — დანწყებული ტომ სოიერისა და ჰეკლბერი ფინის „თავგადასავლებით“, დამთავრებული ჟიულ ვერნის ფანტასტიკის ჟანრის რომანებითა თუ დიკენსის მრავალტომეულით. ყველა ის ავტორი, რომლითაც ნორჩი მკითხველი სხვადასხვა ასაკში ინტერესდება, მეც სრულად მაქვს ნაკითხული.



— როგორც ვიცი, ერთხანს ბიბლიოთეკის ხშირი სტუმარიც იყავით...

— დედა ფსიქოლოგიის ინსტიტუტში მუშაობდა. ინსტიტუტი კი იაკობ გოგებაშვილის სახელობის ბიბლიოთეკის შენობაში იყო განთავსებული. ბიბლიოთეკის თანამშრომლებს ბავშვობიდან ვიცნობდი, არაჩვეულებრივი ქალბატონები იყვნენ. მათ სტუდენტობის წლებშიც ხშირად ვსტუმრობდი. ვინაიდან კარგად მიცნობდნენ, ერთდროულად ათ, ხანდახან ოც ნიგნს მატანდნენ ხოლმე შინ, წავიკითხავდი და

„ ქართული პროზა წინ მიდის “

ვუბრუნებდი. ძალიან ბევრს ვკითხულობდი, ეს ჩვეულებრივი, ბუნებრივი რამ იყო ჩემთვის. დღემდე ასე ვარ.

დაახლოებით ცხრა წლისა ვიქნებოდი, არაჩვეულებრივი მოვლენის მომსწრე რომ გავხდებოდი: საბჭოთა კავშირის მეთაურის, ნიკიტა ხრუშჩოვის ინიციატივით ე.წ. „შემსუბუქების“ პერიოდი დაიწყო, ეს დროებითი გამონათება იყო, სანამ იგივე ხრუშჩოვი არ განაცხადებდა, თავისუფლებას ხელოვნებაში კომუნისტები არასოდეს შეეგუებინანო. სწორედ იმ შუალედში დაიბეჭდა ბევრი საინტერესო ნიგნი, რომლის წაკითხვის საშუალებაც იქამდე არ გვქონია, მათ შორის იყო სოლჟენიცინის „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“. და რაც მნიშვნელოვანია, დაარსდა ლიტერატურული ჟურნალი „ნოვი მირ“, მას ცნობილი რუსი ლიტერატორი, ლაკსინი ჩაუდგა სათავეში. შემდეგ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პერიოდული გამოცემა გაჩნდა — „ინოსტრანაია ლიტერატურა“. მახსოვს, პირველი უცხოური რომანი სწორედ „ინოსტრანაიკის“ საშუალებით წავიკითხე. ეს ალბერტო მორავიას „ჩოჩარა“ იყო. ამ ლიტერატურული ჟურნალების გამოსვლით, ჩვენს იმდროინდელ რეალობაში სრულიად ახალი, ლიტერატურულ-კულტურული ეპოქა დაიწყო. მაშინ უცხოური ლიტერატურის ათვისება ძირითადად რუსულენოვანი თარგმანების საშუალებით გვინევდა. შეუჩერებლად ვკითხულობდით ქართულ მწერლობასაც.

— ქართულ მწერლობაზე საუბრისას, ჩვენი რუბრიკის ზოგიერთ სტუმარს უთქვამს, სკოლაში, სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშებს გული ვერ დავუღე და მხოლოდ წლების შემდეგ აღმოვაჩინე ისინიო. თქვენც ამგვარი გამოცდილება გექვთ?



— ქართველი კლასიკოსების ნაწარმოებებს ყოველთვის დიდი ინტერესით ვკითხულობდი. ილიას, აკაკის, ვაჟას, დავით გურამიშვილისა და სხვათა შემოქმედება ყოველთვის მიტაცებდა. რაც შეეხება „ვეფხისტყაოსანს“, მისი კითხვა ბაბუამ ადრეული ასაკიდან დამანყებინა. ამიტომ



მეცხრე კლასში პოემას უკვე კარგად ვიცნობდი, ის ჩემთვის უცხო და გაუგებარი აღარ იყო. ხოლო როცა ტექსტი იცო, უკვე მასში ჩადებული იდეების გააზრებას იწყებ. ეს „ვეფხისტყაოსნის“ სწავლების კარგი მეთოდია. სხვათა შორის, მოგვების გერმანულ სავტორო სკოლაში, რომელიც გურამ რამიშვილის დაარსებულია, ხოლო ერთ-ერთი თანაავტორი მეც ვახლავართ, იგივე გამოცდილებას მივმართებ — მოსწავლეებს დაწყებითი კლასებიდანვე მეთოდურად ვაცნობდით თხზულებას.

— ბავშვობიდან ბევრს ვკითხულობდი და დღემდე ასე ვარ, მითხარით. გადატვირთული სამუშაო გრაფიკის მიუხედავად, ინტენსიური კითხვისთვის დრო მაინც გრჩება?

— დილის ექვსი საათიდან ფეხზე ვარ, ჩემი დღე ღამის პირველზე მთავრდება. ასე რომ, კითხვას ვასწრებ. დღეში ორასი-სამასი გვერდი მაინც უნდა წავიკითხო, სხვაგვარად ელ შემეძლია. მართალია, ქართული ელექტრონული ბიბლიოთეკის საიტზე — lib.ge — ახალ-ახალი ტექსტები ინტენსიურად ქვეყნდება, მაგრამ ზოგადად, ჩვენს ინტერნეტ სივრცეში მხატვრული ლიტერატურის დიდი არჩევანი არ არის. თუმცა უცხოური საიტებიც ხომ არსებობს, იქ ბევრ საინტერესო ავტორს „შეხვდებით“. რაც შეეხება ახალ ქართულ გამოცემებს, მათი გაცნობის საშუალება თბილისში ჩამოსვლისას მეძლევა. შევხვდებით პერიოდი ამიტომაც მიყვარს. ამჯერადაც მშვენიერი ნიგნები შევიძინე, ზოგიც მაჩუქეს. მათ შორისაა ტარიელ ჭანტურიას ახალი კრებული. ის ბრწყინვალე პოეზიაა. არაჩვეულებრივია ასევე TBC ბანკის მხარდაჭერით გამოცემული ნიგნი „ქართული საგანძური“, რომელშიც თითქმის ყველა ქართველი პოეტის რჩეული ლექსები და თარგმანებია წარმოდგენილი. გამოცემას უზადო ლიტერატურული გემოვნებით გამორჩეული შემდგენლები ჰყავს — პოეტი ემზარ კვიციანი და ლიტერატორი ვახტანგ როდონია. ჩემს მაგიდაზე კიდევ არაერთი ახალი, საინტერესო გამოცემა დევს. საკითხავი ბევრი დამიგროვდა.

მიხარია, რომ საქართველოში ასეთი კარგი ლიტერატურა გამოიცემა. ნიგნის

მაღაზიაში შესვლა ერთი სიამოვნებაა. საბავშვო და საყმაწვილო ლიტერატურის მხრივ კი არჩევანი განსაკუთრებით მრავალფეროვანია. ქართველი გამოცემები ერთმანეთზე უკეთეს ნიგნებს სთავაზობენ პატარა მკითხველს. ფილოლოგები ვიცნობდით იმ დროზე, როცა სამყაროს აღმოჩენასა და გაცნობას ჩვენი ბავშვები მშობლიურ ენაზე შეძლებდნენ. ის დრო ახლა დადგა.

— მართალია, ქართულ ენაზე გამოცემული მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურის დეფიციტი აღარ არსებობს, მაგრამ ნიგნის მიმართ ინტერესი ნაკლებია.

— მართლაც ასე, თუმცა ეს ტრაგედია არ არის. ენათმეცნიერი ვარ, ინფორმაცია და სემანტიკა ჩემი სფეროა. აქედან გამომდინარე შემეძლია გითხრათ, რომ ადამიანის ტვინს დღიური ინფორმაციის აღქმის ზღვური შესაძლებლობა გააჩნია. თანამედროვე ბავშვები კი ინტერნეტის საშუალებით იმგვარი მოცულობის ინფორმაციას იღებენ, რომ ეს ნიგნის მიმართ მათ დამოკიდებულებას თავისთავად განსაზღვრავს. სამყაროს ტექნოლოგიურმა გადაიარაღებამ მომავალში შესაძლებელია ბექდური გამოცემის მიმართ ინტერესი და მოთხოვნილება კიდევ უფრო შეზღუდოს, მაგრამ უბედურება არც ესაა. ოდესღაც ხომ ბექდური პროდუქციაც არ არსებობდა?! ხელნაწერებს ქმნიდნენ და ერთეულ ნიმუშებს ავრცელებდნენ. იოჰან გუტენბერგმა პირველი ნიგნი XV საუკუნეში დაბეჭდა. ახლა კი ელექტრონული ტექსტები გაჩნდა. ინტერნეტის საშუალებით სხვადასხვა სახის ინფორმაციის მიღება ბავშვს მაინც ანვითარებს. არ არის აუცილებელი ზუსტად იგივე გზა გაიაროს, რაც — მშობლებმა. განა, ჩვენ სრულად გვაქვს თავისებულები ის ლიტერატურა, რასაც ბებია-ბაბუები კითხულობდნენ?! არც ბებია-ბაბუებს ნაუკითხავთ ბევრი ის ავტორი, ჩვენ რომ გვიყვარდა და არც ჩვენ ვუნყით ზოგიერთი რამ, რაც დღევანდელმა პატარებმა იციან. ისინი ნიგნებთანაც აუცილებლად მივლენ. დროში გაყინული ტექსტები მუდამ იცოცხლებს და თავის მკითხველს დაელოდება.

ინტერესით ვადევნებ თვალს ლიტერატურულ კონსკურსებს, რომელიც საქართველოში იმართება — „გალას“, „საბას“. მიხარია, როცა ანთებულსახიან ახალგაზრდა ავტორებს ვხედავ. მართლაც რამდენი მშვენიერი თანამედროვე პოეტი და მწერალი გვყავს.

— ახალგაზრდა ქართველი ავტორებიდან ვის გამოარჩევთ?

— მათგან ბევრია საინტერესო. ახალი ტექსტები, ახალი პარადიგმები იქმნება. ზოგიერთი მოგეონება, ზოგიც — ნაკლებად, მაგრამ თუ კითხვა გინდა, შენთვის საინტერესოს აუცილებლად მოძებნი. ეს ჩვეულებრივი ლიტერატურული პროცესია. შეუძლებელია ყველა ლექსი და პროზაული ნაწარმოები ლიტერატურულ მოვლენად იქცეს. თვით გალაკტიონის, ვაჟას, აკაკისა და ილიას შემოქმედებაშიც კი მოიძებნება ნაკლებად მნიშვნელოვანი ქმნილებები. მომწონს რატი ამალობელის, გაგა ნახუცრიშვილის ლექსები. მშვენიერ პოეზიას ქმნიან ქალებიც.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ პროზას, ის სულ უფრო წინ მიდის და ვითარდება. ამ მხრივ გამორჩეული მოვლენაა აკა მორჩილაძე. საინტერესო ავტორად მიმაჩნია ლაშა ბუღაძე. მომწონს



მწერალი

ანა კორძაია-სამადაშვილი:

„შუშანიკის შვილები არავის უყვარს“

დასასრული

— არანაირი. ეს ალბათ გაზეთის დამსახურებაა. ჩემი პირველი მოთხრობები „24 საათის“ სამოცდაათკაციან რედაქციაში იქმნებოდა, ამიტომ წერა ბევრ ხალხშიც შემოძლია და მარტოც. ერთადერთი, ხელით ვერ ვწერ. კალამი აზრს ვერ ეწევა და ვლიზიანდება.

— ანუ, ხელნაწერები არ გაქვს და შესაბამისად, ისინი არც იწვის?

— არა, ისინი ჰარდ-დისკთან ერთად მიდიან უსასრულობაში. ერთადერთი, რასაც ჩემებს ვასწავლი, ისაა, რომ ფურცელი ტყუილს ვერ იტანს, ვერც პრანჭვას და თავის მოწონებას. ამას წინათ გერმანიაში ერთი კრიტიკოსის გამოსვლას მოვუსმინე, რომელიც გამწარებული წერდა გიუნტერ გრასის „თუნუქის დოღზე“ — გრასმა გერმანული რომანი მოკლა, იმიტომ, რომ მთელი ეს ტექსტი სულის პორნოგრაფიააო. კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი ნაწარმოებს და გავოცდი — ეს კაცი არც ერთი წამით არ იპრანჭება, არანაირ რევერანსს არ აკეთებს, არც დასცინის ვინმეს. მან მოახერხა, რომ გაეხსნა საკუთარი თავი, აქედან გამომდინარე, თავისი საზოგადოება, ქვეყანა და მთლიანად კაცობრიობა. დიდებული რომანია. სხვა საქმეა, მოსწონს ვინმეს თუ არა. უბრალოდ, ეს არის ნიშანსვეტი, როგორი უნდა იყოს ზოგადად ლიტერატურა. ფაქტია, რომ ამ ტექსტით ახალი, უზარმაზარი ტალღა წამოვიდა გერმანულ ლიტერატურაში. რა თქმა უნდა, გერმანული რომანი ვერ მოკლა, მაგრამ ვინც წაიკითხა, ჩემი არ იყოს, გული გაუსკდა.

— ბევრი ტექსტია, რომელსაც შენთვის გული გაუხეთქავს?

— ახლახან წავიკითხე ამერიკელი ავტორის, ფილიპ როთის „ნემეზისი“. ეს არის რომანი 23 წლის მამაკაცზე, რომელიც

ახლომხედველობის გამო ომში არ წაიყვანეს, მაგრამ სხვა ფრონტზე მოუხდა ბრძოლა: ქალაქში მძვინვარებს პოლიომელიტი, რომელსაც ეს ბიჭი ებრძვის და საბოლოოდ, ამარცხებს. საოცარი წიგნია. ორი კვირა, დავამთავრე და მასზე ფიქრს ვერ ვიშორებ.

— არადა, ამბობენ, რომ ბოლო დროს კარგი ტექსტები ნაკლებად იწერება.

— ვერ დავთანხმები, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპაში დიდებულ ნაწარმოებებს წერენ. გამომართლა, რადგან მეგობრები მიგზავნიან ამ წიგნებს. სრულიად გაიფური ტექსტებია. სულ ბოლოს წავიკითხე უნგრელი ავტორის რომანი — „მოცურავე“, რომლის ფორმამ შემშალა. მარტივი ტექსტია, თითქოს არაფერი განსაკუთრებული, უბრალოდ, ყოველი სენტენციის ბოლო თამამად შეიძლება იყოს ამ წიგნის დასასრული და როდესაც ლოგიკური ფინალი დგება, რომანი ისე გრძელდება, ისევე, როგორც ცხოვრებაში. მე არ ვიცი, უნგრულ ლიტერატურას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, საოცარი წინამორბედები ჰყავდა, რადგან მონმენდილ ცაზე ასეთი ნაწარმოებები არ ჩნდება. ისევე, სკოლაში რომ გვასწავლიდნენ, „შუშანიკის ნამება“ კი არის პირველი, მაგრამ მანამდე ალბათ გვექონდა ლიტერატურაო. რასაკვირველია, გვექონდა, რადგან მე თუ მკითხავ, ყველაზე კარგი რომანი დღესაც „შუშანიკის ნამება“ უკეთესი არაფერი წამიკითხავს.

— ახლა რა ეტაპზე ვართ?

— ვართ, რა... რაღაც ყაყანი მიდის და ეს უკვე კარგია. რომ ვართ, უკვე ხომ ძალიან კარგია? ალბათ, მერე გაჩნდება ვიღაც, ვინც ამ წრეს გაარღვევს.

ესაუბრა ნანა კობაიძე

მაკითხველი

კოტე გაბაშვილი:

„ქართული პროზა წინ მიდის“

დასასრული

ზურაბ ლეჟავას — ასე ვუნოდებ — ირონიული ლიტერატურა. მისი ნაწერები ახალი მოვლენაა ჩვენს თანამედროვე მწერლობაში. თუმცა ძველი თაობის ავტორებიდან, ამ მიმართულებით ძალიან სახასიათოდ იმუშავა რეზო ჭეიშვილმა, დღესაც საინტერესო და ცოცხალ ტექსტებს ვეღო რეზო გაბრიანიძისგან.

— ასე რომ, ახალგაზრდებს არც ასაკოვანი ავტორები ჩამორჩებიან.

— ისინი ძალიან სერიოზულად მუშაობენ. ტარიელ ჭანტურია ვახსენე — არაჩვეულებრივი მოვლენაა ქართულ ლიტერატურაში. ძალიან კარგ პოეზიას ქმნიან გივი ალხაზიშვილი, ემზარ კვიციანი, ვახტანგ ჯავახიძე, მამუკა ნიკლაური. სიამოვნებით წავიკითხე მამუკა ნიკლაურის ჩანაწერები, რომლებიც თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა. საქმე ისაა, რომ საქართველოში პუბლიცისტური და მემორიული ლიტერატურის დიდი ნაკლებობაა. ამ ჟანრის განვითარება კი, არა მარტო ლიტერატურისთვის, არამედ ისტორიისთვისაც მნიშვნელოვანია. პოეზიაზე საუბრისას, შეუძლებელია ოთარ ჭილაძის ლირიკა არ გავიხსენო. არ მინდა ძველი თაობის ავტორებიდან თუ ახალგაზრდებიდან ვინმე გამომჩივს. ჩემგან ყველას დიდი პატივისცემა ეკუთვნის. თითოეული და მსახურებაა, რომ დღეს, საქართველო ძალიან აქტიური ლიტერატურული ცხოვრებით ცხოვრობს.

როცა ქართული ლიტერატურის უცხოეთში გატანაზე ვლაპარაკობთ, მიმართა, რომ ლია სტურუას შემოქმედება საუკეთესო ინტელექტუალური პროდუქტი იქნება ევროპელი მკითხველისთვის. ეს ძალზე ხატოვანი, ტროპებითა და სახეებით მდიდარი ლექსებია. მათი იტალიურად თარგმნის თაობაზე ქალბატონ ლიას არაერთხელ ვესაუბრე. ვფიქრობ, ახლო მომავალში ჩვენი ახალგაზრდა განხორციელდება.

— ახლა უცხოურ ლიტერატურაზეც ვისაუბროთ.

— ხუმრობით გეტყვი: „მსოფლიო ჩემპიონი“ ლიტერატურაში ჩემთვის ბორხესია. თავისი ფენომენალური ერუდიციით, საოცარი მწერლური ალღოთი, ნიჭით, გადმოცემის უნარით, ლაკონურობით — უცხოელ ავტორებს შორის, უფრო გენიალური სხვა არავინ მეგულება. გარდა ამისა, ის არაჩვეულებრივი შრომისმოყვარეობითაც გამოირჩეოდა. მხატვრული ნაწარმოებების გარდა, ქმნიდა ესეებს, რაც ცალკე საუბრის თემაა. ერთ-ერთი ტომი, რომელშიც ბორხესი მსოფლიო ლიტერატურას აანალიზებს, საკუთარ ხედვებს გვაცნობს, თან მაქვს, იტალიაში.

ძალიან მიყვარს ამერიკული ლიტერატურა, განსაკუთრებით — ფიცჯერალდის თაობის მწერლობა. პატივს ვცემ რუსულ კლასიკას. ობიექტურად თუ შევაფასებთ, ეს მართლაც კარგი ლიტერატურაა, თუმცა — არც ისეთი უნიკალურია, როგორც ხანდახან სურთ წარ-

მოგვიდგინონ. მასხენდება კნუტ ჰამსუნის ნაწერი, რომელშიც ის რუს კლასიკოსთა შემოქმედებას მიმოიხილავს. არაერთი ცნობილი მწერლის მიმართ ჰამსუნი განსაკუთრებით კრიტიკულია. ვფიქრობ, ბევრი ავტორის შეფასებაში ის არ ცდებია. რუსული ლიტერატურის მიმართ ჩვენი დამოკიდებულება რუსული ენისადმი მიჯაჭვულობამ განაპირობა. ბედნიერებაა, რომ დღეს საქართველო რუსულენოვანი გარემოსგან თავისუფლდება. თანდათან ხორციელდება ის, რასაც მომავალი თაობები უფრო მეტად დააფასებენ — ენობრივი რევოლუცია. აქ მხოლოდ ინგლისურ ენას არ ვგულისხმობ. გერმანული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ჩინური, თურქული, არაბული თუ სხვა — ის ენებია, რომელთაც ცოდნაც კიდევ უფრო განავითარებს და თვალსაწიერს გაუფართოვებს თანამედროვე საზოგადოებას. ვილჰელმ ჰუმბოლდტი, რომელსაც ჩემს სულიერ მასწავლებლად მივიჩნევ, ამბობდა: „ამქვეყნად ყველა ენა უნიკალურია. ყველა ენა საკუთარი გზაა ჭეშმარიტებისკენ, მაგრამ რაც მეტი გზა იცი, მით მეტ ჭეშმარიტებას ფლობ“.

— ბატონო კოტე, გერმანიაში აკრედიტირებულ საქართველოს დიპლომატიურ მისიას არაერთი წელი ხელმძღვანელობდით, ახლა იგივე საქმიანობას იტალიაში აგრძელებთ. ამ ქვეყნებს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა აქვთ. საინტერესოა, რამდენად ინარჩუნებენ ისინი დონეს და რამდენად ინტენსიურია მათი ლიტერატურული ცხოვრება?

— უნდა გითხრათ, რომ ცენტრალური ევროპის ქვეყნებში, ლიტერატურის განვითარების თვალსაზრისით, გარკვეული კრიზისია. ეს განსაკუთრებით გერმანიას ეხება. გიუნტერ გრასი მწერლებს შორის იქ ყველაზე გამოჩენილია. თუმცა მისი შემოქმედება რამდენად არის დიდი გერმანული ლიტერატურის ღირსეული მემკვიდრე, ამაზე საუბარი რთულია. მსოფლიო გრანდების პროდუქციონზე დიდ ევროპულ ქვეყნებში აღარ ხდება. ბევრი ახალი ნიგნი გამოდის, ახალი სახელები ჩნდება, მაგრამ ისინი საშუალო დონის ლიტერატურას გვთავაზობენ. ცხადია, ეს შეფასება არ ეხება ძველი თაობის დიდ მწერლებს, რომლებიც ცოცხლობენ და ქმნიან.

თუ თვალს მიადევნებთ, დაინახავთ, რომ ლიტერატურულ-კულტურულმა ცენტრებმა მსოფლიოს სხვა ნერტილებში გადაინაცვლა. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ცნობილი ლიტერატურული პრემიის, ნობელის ლაურეატობა ჯერ გერმანიაში მცხოვრებ რუმინელ ავტორს, შემდეგ კი პერუელ მწერალს ერგო. ეს ახალი რეალობაა.

სხვათა შორის, ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ „ლიტერატურული გაზეთი“ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებსაც აქტიურად აშუქებს.

ესაუბრა თამარ შურული

დასასრული

ბიდან ერთი ორი ამოარჩიოს და დაამხეცოს...

(ბიჭი გაჩუმდა და სული მოითქვა, დედა სავარძლიდან ადგა).

დედა — არა, არაფერი არ მეშველება. წასულია ჩემი საქმე...

(ოთახიდან გადის. ბიჭი დგება. იმ სავარძელში ჯდება, რომელშიც დედამისი იჯდა და სახე ხელეშში ჩარგო, ცოტა ხანს ასე ზის, მერე იქვე მიგდებულ შავ პერანგ იცვამს. დედა ოთახში ბრუნდება).

— ეს პერანგი არ გიხდება. გაიხადე გესმის?.. გემოვნება მაინც გქონდეს, შე ოხერო, სირცხვილია, დედა, გაიხადე. ეგრე სულელივით ნუ მიადგები იმ გოგოს, არ გიხდება ეს პერანგი...

(პერანგზე ექაჩება და ცდილობს გახადოს).

დედა — არ უხდება ეგ პერანგი მაგ შარვალს...

გიო — თუ პერანგი არ უხდება შარვალს, მაშინ შარვალი მოუხდება პერანგს. ყოველთვის ეგრე ხდება, რომელიმე პერანგი რომელიმე შარვალს ყოველთვის



მოუხდება...

დედა (არ ეშვება) — არ უხდება ეს პერანგი ამ შარვალს, შეხედე, სარკეში მაინც ჩაიხედე... (კუბოკრულ პერანგს აწვდის). ეს ჩაიცივი, ძალიან გიხდება, აი ეს ჩაიცივი...

გიო — ესა?.. ეს ისეთი ჭრელია, შარვალს მოუხდება კი არა, რასაც გინდა იმას იზამს...

დედა — კარგი, აღარ შემოძლია ამდენი ღლიცინი, გაიხადე ეს უბედურება, გეხვეწებო, მგლოვიარე ჰგავხარ, ბარემ შველენტიანი სურათი მიიკარი გულზე...

გიო — ვისი?..

დედა — ვისოცკის!.. მაგის მეტი მაინც არავინ იცი... არ გიხდება გთხოვ... ეს ჩა-

იცვი.

გიო — კარგი რა, ტო, არ მინდა ეს ჭრელი პერანგი. მართლა რას გადამიქვიდე.

დედა — საშინლად გამოიყურები, ძალიან არ გიხდება...

გიო — ნუ ნერვიულობ, ეს შავიც გაჭრელდება. ყოველთვის ეგრე ხდება.

დედა — არ ნახვიდე...

გიო — აუუუ, მაპატიე!!! ნავედი. მორჩა. ნავედი. რომ მივალ, დავრეკავ. (მიდის)

დედა — არ ნახვიდე... (ხელში ლამაზი კუბოკრული პერანგი აქვს შერჩენილი, მერე ულონოდ ეშვება სავარძელში) სად მიდიხარ, სად?

გიო (დერეფნიდან) — შორს!..

(ისმის კარის გახურვის ხმა. მერე კარი ისევ, ბიჭი არ ჩანს).

გიო — მივალ თუ არა, დაგირეკავ, არ ინერვიულო!..

დედა (მოულოდნელად მშვიდად, მშვიდი გამეტებით) — არა, არ დამირეკავ. არასოდეს, აღარასოდეს აღარ დამირეკავ. არც დაბრუნდება, ვერ დაბრუნდება. ამ უკუნეთ სიბნელეში ვეღარ დაინახავ შენს ფანჯრებს და ვეღარ მოაგნებ შენი სახლის კარს. ველარასოდეს.

ტარიელ ჭანტურია

ჭკვიანი რითმების ლექსიკონიდან

დასაწყისი მე-3 გვერდზე
სამუშაო კონი - სამუშაო კაენი
კონი ნეიტრონის ბომბის მამაა - ძმა-თა მკვლელები, მამათა მკვლელები, შვილთა მკვლელები ბომბის მამა. ამიტომ საკვებით გამართლებულია კონის რითმად კაენი.

ბრუნო - ბრუნავს
განმარტება იმისა, თუ რა ბრუნვაზეა ლაპარაკი, ვფიქრობ, არაა აუცილებელი.

მევალია - მოვალ
სასიამოვნო უფროა ეს რითმა, ვინემ სარწმუნო: არ უყვარს ხალხს ვალის გასტუმრება.

ვიცინი - ვიცინი
ვიცინი რუსი კომედიური მსახიობია.

პაპლის - შარფლი
სარიტომო წყვილში სანთლისა და ფარვანას გამო შექმნილი მთელი ლიტერატურაა ჩადებული კონდენსირებული სახით.

ცოლის - ნოლის
საცოლის - სანოლი

ბინა კი - ბუნაბი
ბინა, ქცეული ბუნაგად: მოთამაშეთა, დამნაშავეთა, ნარკომანთა თავშესაფარი ადგილი.

ინვა - სიძვა
ერთად ნოლა ყოველთვის სიძვას არ ნიშნავს. ამის მიუხედავად, ამ სარიტომო წყვილის „ერთად ნოლა“ მაინც აღძრავს ეჭვს.

შელაბა - შეხება
ახალშეღებულ ქიშკარზე გასაკრავი ნარწერა, შესრულებული ჭკვიანი რითმით.

რიონი - რაინი
თუ რამე რამეს უნდა გაერთიანოს, რა დააშავებს მდინარეებმა! მათ ისიც ეყოფათ, რომ, მიუხედავად დიდი სურვილისა, ერთმანეთს ვერ უერთდებიან!

ტურვა - ტორვი
ამ სარიტომო წყვილში ყოველი მშვენიერების სევედიანი დასასრულია მინიშნებული, ყოველი სილამაზის წარმავლობაზე ჩამოგდებული სიტყვა...

თიარკო - თიარკო
საქმე რომ პროფესიების მიხედვით განვიხილოთ, არავინ ისე ახლოს არ არის ალბათ თედოსთან, როგორც თერძი! - იგი ზომავს, ჭრის, ადარებს, ამოწმებს, ეხება, ეფერება კიდევაც...

ჯალათი - კალათი
ჩვეულებრივი ლექსიკონების წესითა და რიგით რომ დგებოდეს ეს ლექსიკონიც, მაშინ ამ სარიტომო წყვილს უნდა მიეწეროს „მოძვ“. - ეს რითმები იმ დროს ასახავენ, როცა გილიოტინაზე ჯალათის გვერდით კალათიც იდო! - რამდენი ჭკვიანი თავი ჩავარდნილა იმ კალათში! (გაიხსენეთ დედოფლები, რევოლუციის ბელადები, მკრეხელნი, ყაჩაღები, უბედური ადამიანები, სხვათა დანაშაული რომ ზღეს...).

დედი, კვკვაბი - დეტაქტივი
რაკი დეტექტიური რომანი თითქმის არასოდეს თავდება ჰეფი ენდით, ამ უანრის გმირთა საბოლოო ამოკენესა ცუდი სარიტომო ცალი არ უნდა იყოს სიტყვა „დეტექტივისთვის“.

ბიჭაბი - ბაჭაბი
დიახ, მაინც და მაინც „ბეჭები!“ - ასეთია ბიჭის, მამაკაცის, ვაჟკაცის ტრადიციული მახასიათებელი.

როსინი - რასინი
ეს იმას ნიშნავს, ლიტერატურას მუსიკა გაურითმო კაცმა! კაცმა რომ თქვას, ცუდი არც არაფერია ამაში.

მაგრად იომა - ბაბრატონმა!
არის, სხვათა შორის, ამ ნამდვილად „ჭკვიანი“ სარიტომო წყვილის კიდევ ერთი, არა ნაკლებ ჭკვიანი ვარიანტი: მაქ რად იომა ბაგრატონმა!

აინაზინი - არ მინდა ძილი
პროტესტი ნემსის გაკეთებამდე უნდა მოასწრო, თორემ მერე გვიანია: არ გინდა, გინდა - მაინც დაგეძინება.

ქმსტაზს - ლქმსთა
კამათი იმის თაობაზე, სჭირდება თუ არა ლექსთა თხზვას ექსტაზი, ანუ შთაგონება, ანუ მუზა, ანუ ეგზალტაცია, ანუ აღმაფრენა, ანუ წვა და ა.შ. ჩემი აზრით, სასაცილოა. სასაცილო ამბის შეთხზვასაც კი, არათუ ლექსისას, ექსტაზი ესაჭიროება! ამდენად ეს რითმა - კარგი რითმაა (ე.ი. - ჭკვიანი).

გაგრძელება იქნება

ლევან გელაშვილი


კვერცხი

იმ დღეს ბაკუ ასი წლის გახდა. დილით სახლიდან წავიდა და მთელი დღე ტყე-ღრე იხეტიალა. უმისამართოდ ქანცგანყვეტამდე დაბრაცუნობდა. ი, ესე დაღლილი მიჩანდა, მთელმარე თვალებით ვერც დაინახა, უცებ რალაც მაგარს შეეჯახა. თავდაპირველად ვერ მიხვდა, რომ კვერცხი იყო. ასვეტილი თეთრი მარმარილოსფერი კლდესავით კედელთან იდგა და გაცივებული თვალებით შესცქეროდა. კინკრისხოს ფხანით და ფიქრაცილილმა გარშემო რამდენჯერმე შემოუარა და პირველი რაც მოიფიქრა, გადაწყვიტა თეთრი მასა სახლში წაეღო. ბაკუმ დაღლა გვერდით გადადო, ცქმუტვა-ცქმუტვით თოკები მოიტანა, მერე კიდევ თოკები, მერე ურმები, კამეჩები, კიდევ კამეჩები - ბევრი იფორთხილა ჩოჩებ-ჩოჩებით და რისვაივავლახით კვერცხი კარმიდამოდე მიიტანა. სახლის წინ ეზოში დადგა მარმარილოსფერი ოვალი და შუბლიდან ოფლი მოინმინდა. კვერცხი ეზოსაც მოუხდა და სახლსაც, თითქოს ადამ და ევას დროიდან იქ ყოფილიყო. გამოვიდა ბაკუს ცოლი ეზოში, მერე შვილები, ერთი შვილი, მეორე შვილი, მესამე, მეოთხე... ბაკუს ბევრი შვილი ჰყავდა. ყველა ჩუმად იყო. ქათმებმა კრიახი შეწყვიტეს და თეთრ მასას ასიმეტრიული ქათმური მზურა მიაპყრეს. ეზოს ფინიამაც ერთი-ორი შეიყვება, კვერცხთან მიცუცქდა და ქასქასი მორთო. მთელი ეზო კვერცხს გარშემო შემოეხვია. ბაკუს ცოლმა ყური მიადო კვეცხს, თვალები მოჭუტა და საზამთროს გამყიდველივით მიუკაკუნა. მერე ბაკუს რალაც შეუბღვირა და ბაკუმაც ფარდულისკენ ფეხი აითრია. ფარდულიდან რკინები გამოიტანა, კვერცხთან მივიდა და მალე კვერცხს პატარა ონკანი გაუკეთა. გადაატერიალა ბაკუმ გორგოლაჭი და წამოვიდა კვეცხიდან ბლანტი სითხე. ის დღე იყო და ის დღე, ბაკუს ოჯახს საჭმელი არ მოკლებია. კვეცხის ცილა და გული ულვეი ხორაგით მოედინებოდა კვერცხის ონკანიდან. ზამთარ-ზაფხულ წვიმაში თუ ქარში, კრიზისში თუ არჩევნების დროს, ქვაბებით და ტაფებით კვეცხთან ატუზულები იდგა ბაკუს ცოლ-შვილი. და აჰა, ჭამდნენ ისინი კვერცხს; შემწვარს, მოხარულს, გარნირით, გოგლიმოგლად, უმად, ნამცხვრის ინგრედიენტად. ჭამდნენ დილიდან დაღამებამდე და არაფერს აკეთებდნენ ჭამის გარდა.

კვერცხის ჭამა რომ მოსწყინდათ, გაყიდვა დაიწყეს. ამონაგები ფულით ნაირნაირს ყიდულობდნენ და შეექცოდნენ. გადიოდა წლები - ბაკუს და მის შვილებს მუცელი ამოყორილი ქონდათ და კმაყოფილი სახით ხმინად აბოყინებდნენ ჭამისაგან მოთენთილები.


ერთ დღესაც, დილით ბაკუს ცოლი ტაფით ხელში მივიდა კვერცხთან. გადაატერიალა ონკანი, მაგრამ ბლანტი სითხის ნაცვლად ერთი-ორი კურცხალი ცრემლივით წვეთი ჩამოვარდა. შემოეხვია მთელი კარ-მიდამო კვერცხს გარშემო. ყველა ჩუმად იყო. ქათმებმა კრიახი შეწყვიტეს და თეთრ მასას ასიმეტრიული ქათმური მზურა მიაპყრეს. ეზოს ფინიამაც ერთი-ორი შეიყვება, კვერცხთან მიცუცქდა და ქასქასი მორთო. ბაკუმ კვერცხს მიაყურადა, მიუკაკუნა, დაუწოქა, მაგრამ ონკანიდან ხრუტუნის გარდა არაფერი ისმოდა. ყველა ჩუმად იყო. ისაზრა ბაკუს ცოლმა და შეუბღვირა ბაკუს რალაც გაურკვეველ ცოლ-ქმრულ ენაზე. ათორია ფეხი ბაკუმ ფარდულისკენ. იქიდან გამოსული რკინებს მოათრევდა. მალე ბაკუმ ონკანიან კვერცხს ონკანის ნაცვლად დიდი კარი გაუკეთა. გამოაღეს კარი და შეიხედეს შიგნით; უზარმაზარ სივრცეში თვალუწვდენელ რეალობაში. შეიხედეს და დაინახეს რომ კვეცხის კედლები შიგნიდან ცილით იყო დაფარული.

- გარეთ რალა გვინდა? - თქვეს შვილებმა, - შიგნით შევალთ და იქ ვიქნებით სულ. თან შევჭამთ და იქ ვიცხოვრებთ. - ცილა რომ გამოიღვეს მერე? მერე რალას იზამთ? - შეუბღვირა ბაკუმ. - მთელი სახლ-კარი შიგ ვიქნებით ქათმებით, ნახირით, ცხვრებით. რალა მოგვაკლდება? მეზობლებიც შევასახლოთ და თან ვივაჭრებთ.



- არა, - დასტეხა ბაკუს ცოლმა, - ჩვენს გარდა სხვა არავინ შევა. და აჰა, შეიყვანა ბაკუმ ოჯახი კვერცხში. შეიყვანა ასევე ყველა სახის ფრინველი დედალ-მამალი და ცხოველი, ქვეწარმავალი და სულიერი ყველა ორ-ორი სქესის და დაკეტა კარი. და ცხოვრობდა ბაკუს ცოლ-შვილი კვერცხის ნაჭუჭში ბედნიერად. არ იცოდნენ რა ხდებოდა გარეთ, რადგან ჭამდნენ ცილას და იყენენ მაძღრები. გარეთ დაიწყო ცეცხლის წვიმა, ქარიშხალი და ქუხილი, მეხი ვარდებოდა და ვულკანი იფრქვეოდა და იქცეოდა ქვეყანა. მალე წყალმა დაფარა დედამინა და განყდა ყველა სულიერი სამყაროში. ტივტივებდა კვერცხი წყლის ზედაპირზე და მიქონდა დინებას. ბაკუ მიხვდა, რომ წარღვნა დაიწყო, მაგრამ არავის არაფერი უთხრა, ჩუმად გადაარაზა კარი. კვერცხის ძლიერი ნაჭუჭი უძლებდა მეხს, კლდოვან კონცხზე შეჯახებას და ცეცხლის წვიმებს. კვერცხის შიგნით ბაკუს შვილებს ეშინოდათ ქუხილის ხმის და კვერცხის ნაჭუჭის გატეხვის. მაგრამ ბაკუ ამბობდა, რომ კვერცხის გარსი საკმარისად მაგარია და არ გატყვავდება. კვეცხის ყველა კოროგ შეჯახებაზე შვილები ინყებდნენ ტირილს და ვეფხვები ძროხები და ძაღლები ბლოდნენ. ბაკუ კი ტახტზე წამოგორებული კედლიდან ახეულ ცილას ძიძვნიდა და ჭამისაგან მოთენთილს ჩაეძინებოდა ხოლმე. დროდადრო შემინებულ თვლების შემახილი გამოაღვიძებდა და ოჯახის დასაშვინებლად მოგნილ ფრაზას იტყოდა: ადამიანის ძენო, ნუ გემინიათ! კვერცხი არ გატყვავდება.

და იცურა კვერცხმა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე და გაჩერდა. ბოლოს თქვა ბაკუმ - ყველაფერი დამთავრდა. თუმცა ირგვლივმყოფებმა ვერაფერი გაიგეს. უფროსმა ვაჟმა სალაფავის კოვზით კედლიდან ცილა აახია და ხახაში გააქანა. და ბაკუ იდგა გაშეშებული თითქოს რალაცას ელდებო, რადგან ყველამ იგრძნო, რომ კვერცხმა მოძრაობა დაიწყო და დიდი ინერციით მიექანებოდა. უფროსი ვაჟი კი ღეჭავდა ცილას. და იგრძნო ყველამ დიდი შეჯახება. უცებ ბაკუს ტახტთან ბზარი გაჩნდა. შეჯახება გრძელდებოდა და ბზარი გველივით სხვადასხვა მიმართულებით მიიკლანკნებოდა. შიშმა მოიცვა ყველა, რადგან ბაკუ მიხვდა, რომ კვერცხი შეეჯახა უფრო ძლიერს, ვიდრე რომელიმე კლდოვანი კონცხი იყო და უფრო მაგარს, ვიდრე მეხისგან გამოსროლილი ცეცხლის ტყვიები იყო. და გატყვა კვერცხი და წყალში დახრჩობა დაიწყო ყველა სახის ფრინველმა, რაც კი კვერცხში იყო და იხოცებოდა ყველა სახის ქვეწარმავალი და ცხოველი ორივე სქესის, რაც კი შეუყვანია კვერცხში. და ბოლოს დაიღუპნენ ბაკუს შვილები და ცოლი. და ბაკუ ღვარცოფმა და ევლარ ხედავდა მათ და ნისლში იკარგებოდა კვერცხის უზარმაზარი ნაჭუჭები და წყალი ყლაპავდა ბაკუს კარმიდამოს. და აჰა, ბაკუ მიხვდა, რომ ვერ გადარჩებოდა და თავდაც ისევე დაიღუპებოდა, როგორც ყველა სახის ფრინველი, ცხოველი და ქვეწარმავალი და მისი ცოლი და შვილები. და გაცურა ბაკუმ იმ დიდი მასისკენ, რასთან შეჯახების გამოც გატყდა კვერცხი და თვალები წყლით ევსებოდა, მაგრამ მაინც მიინედა და მივიდა ახლოს. ეს იყო კიდობანი სივრცით სამასი, სიგანით ორმოცდაათი, სიმალლით ოცდაათი წყრთა. კიდობანს უფრო დიდი კარი ქონდა, ვიდრე კვერცხს და უფრო სქელი კედლები, ვიდრე ნაჭუჭი იყო. და ბაკუმ დააკაკუნა კარზე, მაგრამ კარი არ გაუღეს. და ბაკუმ ბოლოჯერ ამოისუნთქა და ჩაიძირა მღვრიე წყალში.





ნომინაცია „სამაგიდო წიგნი“ — „ვაჟა-ფშაველა“. მისო მოსულიშვილი



ნომინაცია „წლის წიგნი“ — „თეთრი ხბორები“. მარიამ წიკლაური



ნომინაცია „საუკეთესო სცენარი“ — „ადას კინო“. მაკა კუკუშაძე

მწერლებისა და წიგნების ზეიმი

ლიტერატურული კონკურსი „გალა“ 5 წლისაა. მწერლებისა და წიგნების დღესასწაული, როგორც მას დამარსებელი ზაალ სამადაშვილი უწოდებს, წელ-წელ იკრებს გულშემატკივრებს და ქართულ სალიტერატურო პროცესზე საკუთარი კვალის დამჩნევასაც ახერხებს. ხუთი წელიწადი კონკურსისთვის დიდი დრო არ არის, თუმცა ამ პერიოდის განმავლობაში „გალამ“ სამწერლო სივრცეში თავისი ადგილი დაიმკვიდრა. გარდა ამისა, გამოიკვეთა ტენდენცია, რომელიც წლებიდან წელიწადიდან ცერემონიაზე ზაალ სამადაშვილმა კონკურსის „მნიშვნელოვან ფუნქციად“ მოიხსენია: „გარდა იმ ძირითადი დანიშნულებისა, რომელიც ნებისმიერ ლიტერატურულ კონკურსს თან ახლავს წიგნისა და კითხვის პოპულარიზაციის სახით, „გალამ“ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია შეიძინა — იმ ადამიანების დანახვა და დაფასება, ვინც წლების განმავლობაში უდრტვიველად ემსახურება ლიტერატურას და წიგნს.“ ამის მაგალითი არაერთია: ზაზა თვარაძე, ელზა ახვლედიანი, ლია ჩლაიძე, მერი ტიტინიძე, მაია ბადრიძე... ეს და სხვა საინტერესო ავტორები, რომელთაც ფართო საზოგადოება მხოლოდ მათი ნაკლები პირ-აქტივობის გამო არ იცნობს, „გალას“ რჩეულები არიან. ამ ადამიანებს წელს კიდევ რამდენიმე შეემატა. მათი გამოვლენის სიხარული ეროვნული მუზეუმის ეზოში შეკრებილმა მწერლებმა, გამომცემლებმა და წიგნის მოყვარულებმა გაიზიარეს.

საიუბილეო „გალა“ საზეიმო ვითარებაში, თბილისის ბიგ-ბენდის მუსიკალური გაფორმების თანხლებით გაიმართა. ორგანიზატორებმა დამსწრე საზოგადოებას მდიდარი ფოტომასალა წარუდგინეს, სადაც გასული წლების ყველა გამარჯვებული იყო ასახული, წლებიდან წელიწადიდან კი ოჯახის წევრებისა და მეგობრების გარემოცვაში, შენიღბული მღელვარებით, ახალ ლიტერატურულ მოსავალს ელოდნენ.

„გალაზე“ წარდგენილი ლიტერატურული პროდუქციის რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. წელს საკონკურსოდ 21 გამომცემლობის 138 წიგნი და 7 კინოსცენარი იყო წარმოდგენილი, საიდანაც ჟიურიმ 20 ნომინანტი შეარჩია. რაც შეეხება ჟიურის, „გალას“ წლებიდან წელიწადიდან ჩამონათვალი ასე გამოიყურებოდა: მთარგმნელი ნინო ქავიაძე, მხატვარი დიმიტრი ერისთავი, მწერლები: ზურაბ სამადაშვილი და მამუკა ხერხეულიძე და ეროვნული კინოცენტრის დირექტორის მოადგილე ნინო კუხალაშვილი. ეს უკანასკნელი კონკურსის ახალ ნომინაციას — „საუკეთესო სცენარს“ უკუირებდა. ეს ნომინაცია „გალას“ კინოცენტრის შეთავაზებით წელს დაემატა



„გალა 2011“-ის ჟიური

და ქართული კინოს ხელშეწყობას ისახავს მიზნად. „სცენარი არის ის, რის გარეშეც ვერ იქმნება კინო და ქართულ კინოს სწორედ დღეს სჭირდება ახალგაზრდა დრამატურგები“ — ბრძანა დაჯილდოების ცერემონიაზე კულტურის მინისტრმა ნიკოლოზ რურუამ და საზოგადოებას ამ ნომინაციის პირველი პრიზიორი — მაკა კუკუშაძე („ადას კინო“) წარუდგინა. გამარჯვებული სცენარი თინეიჯერების ცხოვრებას და მათ თავისუფლებას ეძღვნება, რომელიც ხშირად მოჩვენებითია. „შესაძლოა ის, რაც ფინალში ხდება, ილუზიებია, მაგრამ თუ ილუზიებია, კინო ერქვას და გაუმარჯოს კინოს“ — თქვა საბავშვო სიტყვაში ახალგაზრდა დრამატურგმა, რომელიც ემოციებს ვერ მალავდა. დანარჩენ 6 ნომინაციაში კი პრიზები ასე განაწილდა: „სამაგიდო წიგნი“ — მისო მოსულიშვილი, „ვაჟა-ფშაველა“ („პეგასი“); წლის წიგნი — მარიამ წიკლაური, „თეთრი ხბორები“ („პეგასი“); თარგმნილი წიგნი — უმბერტო ეკო, „ვარდის სახელი“, თარგმნა ხათუნა ცხადაძემ („დიოგენე“); საბავშვო წიგნი — ნატო დავითაშვილი, „ნისლებში და ნისლებს მიღმა“ („ლოგოს პრესი“); წიგნის მხატვრობა — ლორეტა აბაშიძე-შენგელია (ქალბატონი ლორეტა ავადმყოფობის გამო ვერ დაესწრო ცერემონიას) თამარი ფხაკაძის „გლობუსას და ლუკას თავგადასავალი“-ს გაფორმებისთვის („პეგასი“); წლის საუკეთესო ლიტერატურული პროექტი — „100 წიგნი — ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“ („ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“). პრიზი ცენტრის ხელმძღვანელმა ბატონმა ზაზა აბზიანიძემ ჩაიბარა. გამარჯვებულებს 4000 ლარიან პრემიასთან ერთად ტრად-

იციულად ბრინჯაოს ხანის კოლხური ცულის ასლიც გადაეცათ. სხვათა შორის, ერთ-ერთი ნომინანტის, ნატო დავითაშვილისთვის ამ ცულზე გამოსახული ცხენი ფეხბედნიერი აღმოჩნდა: მისი ნაწარმოების მთავარ გმირს ღვთის შვილებმა ხალიბურ ხმალთან ერთად კოლხური ცული გადასცეს, რომელზეც საკურთხეველის წინ ყალყზე შემდგარი ცხენი ეხატა. კონკურსის წინა დღეს გამარჯვებულისთვის განკუთვნილი ცულის დათვლიერებისას ნატო დავითაშვილმა მასზე სწორედ ეს, საკურთხეველის წინ ყალყზე შემდგარი ცხენი აღმოაჩინა. ამიტომაც იყო მისთვის მიღებული პრემია ორმაგად სასიხარულო.

„სამაგიდო წიგნის“ ნომინაციაში „ვაჟა-ფშაველას“ დასახელებამ არანაკლებ გაახარა მისო მოსულიშვილი. ეს პრემია მე მიხარია, მე დამაბნია, თორემ ვაჟასთვის მორიგი ჯილდოაო — გულწრფელად გამოუტყდა შეკრებილ საზოგადოებას. რაც შეეხება თარგმანის ნომინაციაში გამარჯვებულ ხათუნა ცხადაძეს, მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ ეკო სწორედ მისი მეშვეობით გაიცნო ქართველმა მკითხველმა: „ადრე თუ გვიან ეკო მანც შემოვიდოდა საქართველოში, მაგრამ ის, რომ ეს ფაქტი სწორედ ამ თარგმანით მოხდა, ჩემთვის ძალზე საამაყოა. მომეცა შანსი, რომელიც გამოვიყენე და მადლობა ამისთვის თქვით“ — თქვა მან.

განსაკუთრებული იყო „წლის წიგნის“ ნომინაციის გამარჯვებულის, მარიამ წიკლაურის ემოციები, რადგან „გალას“ ისტორიაში პირველად მიენიჭა ეს ჯილდო პოეტს. ყველა მიხვდება, როგორ ვლელავ, როგორი მადლიერი ვარ იმათი, ვინც პოეზიას მისცა ხმა. „გალაზე“ პოეტი პირველად ჯილდოვდება და უფლება არ მაქვს, ეს სიხარული ყველა პოეტს არ გავუზიარო, ყველა თაობის ქართველ პოეტს“ — ბრძანა მან.

საიუბილეო „გალამ“ სასიამოვნოდ ჩაიარა, განსაკუთრებით — გამარჯვებულთათვის. ემოცია იმდენად დადებითი იყო, რომ როლში შეჭრილმა ნამყვანმა, ზურა ყიფშიძემ, რომელსაც, როგორც ჩანს, ჩამონათვალის ეცოტავა, შემდეგი ნომინაციის გამოცხადება მოინდომა. სამწუხაროდ, უშედეგოდ. წლებიდან წელიწადიდან ნომინაცია აღარ ჰქონდა, თუმცა დავითოვით იმედი, რომ სამომავლოდ კონკურსის არეალი კიდევ უფრო გაიზრდება და ნომინაციებიც დაემატება. ერთი სიტყვით, „გალა“ დასრულდა, მაგრამ, როგორც ორგანიზატორები გვპირდებიან, გაგრძელება იქნება. მომავალ „გალამდე“.

ენო კობახიძე



ნომინაცია „თარგმნილი წიგნი“ — უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“. ხათუნა ცხადაძე



ნომინაცია „საუკეთესო ლიტერატურული პროექტი“ — „ადამიანები, რომელთაც შეცვალეს მსოფლიო“. ზაზა აბზიანიძე



ნომინაცია „საბავშვო წიგნი“ — „ნისლებში და ნისლებს მიღმა“. ნატო დავითაშვილი

ლიტერატურული გაზეთი

გამოდის საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

რედაქტორი ირაკლი ჯავახიძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტიკა ხათუნა ალხაზიშვილი, ნანა კობახიძე, თამარ ყურული
 ტელ.: 2292196; მობ. ტელ.: (577)742277; (599)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com